ქრისტიანული ოჯახის გაგება თანამედროვე ქართველ მართლმადიდებელ საზოგადოებაში

პავლე მოციქულის თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით

ანი ონიანი

წარმოდგენილია ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თეოლოგიაში

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 0186, საქართველო

სექტემბერი 2020

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ანი ონიანის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „ქრისტიანული ოჯახის გაგება თანამედროვე ქართველ მართლმადიდებელ საზოგადოებაში“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაზე მის განხილვას ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თეოლოგიაში.

ხელმძღვანელი: ზურაბ კიკნაძე

თარიღი :

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: ანი ონიანი

თარიღი:

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში, სადაც ადამიანი მიმართულია ინდივიდუალიზმისა და პირადი კეთილდღეობისკენ, გაუგებარი ხდება ისეთი სიყვარული, რომელიც საკუთარი თავის უარყოფაზე გადის. წმ. მაქსიმე აღმსარებელის მიხედვით, ცოდვით დაცემულ ადამიანში ძირეულ ვნებას სწორედ ფილაუტია (Φιλαυτία) წარმოადგენს, რაც საკუთარი თავის ეგოისტური სიყვარულია.[1] სწორედ ასეთი სიყვარულის გამოწვევის წინაშე დგანან დღევანდელი ქრისტიანული ოჯახები, რაზეც მიუთითებს ოჯახების რღვევის, გაზრდილი აბორტებისა და ბავშვებში ფსიქოლოგიური პრობლემების ზრდის ტენდენცია. ჩვენთვის ეს საკითხი აქტუალურია, რადგან საქართველოს ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, ქრისტიანობის ჩვიდმეტსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიულ-ეკლესიური გამოცდილება აქვს, რომელიც დღემდე გრძელდება. ამიტომ, ვფიქრობთ, საქართველოში და თანამედროვე ქართველ მორწმუნე ახალგაზრდებში, ოჯახური ურთიერთობის ფორმირებაზე ძლიერ გავლენას ახდენს ქრისტიანული მოძღვრება.

კვლევის ფარგლებში, ანალიზისა და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, პავლე მოციქულის თეოლოგიური ტექსტი დავინახეთ პრაქტიკული პერსპექტივიდან. ეფესელთა მიმართ ეპისტოლე გავანალიზეთ პატრისტიკული ტრადიციის და თანამედროვე განმარტებათა მიხედვით. ტესქტის მიხედვით შევადგინეთ სადისკუსიო გეგმა. შემდგომ, ჩავატარეთ სიღმისეული ინტერვიუ. კვლევამ საკმაოდ კარგ შედეგებამდე მიგვიყვანა, რადგან პავლე მოციქულის სწავლება და რესპოდენტთა პრაქტიკა ერთმანეთთან მკვეთრად გადაიკვეთა.

ეფესელთა მიმართ ეპისტოლის ტექსტის ანალიზისთვის თვისებრივი კვლევა, რომელიც სიღრმისეულად გამოიკვლევდა ემპირიას, პირველია.

[1] წმინდა მაქსიმე აღმსარებლის აზრების აქტუალობა, წიგნში: წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციის მასალები, მთავარეპისკოპოსი სტეფანეს (კალაიჯიშვილი) რედაქტორობით, აღმსარებელი, 2015, 604-605.

Resume

In the modern world where a person tries to tries to achieve individualism and personal well-being, it becomes controversial when it comes to love which is focused on self-denial. According to Saint Maximus confessor, passion which is foundation in a sinful human being is known as "philatuss"?. It represents a selfish love of oneself. Modern Christian families face this challenge. It becomes obvious if we take into consideration increased rate of abortion, divorcement and psychological disorder among children. That kind of issues are very popular because Georgia compared with other nations has religious, cultural and historical experience which already counts 17 centuries. and is still under way. That's why we consider that Christian studies has serious impact on Georgian young people has a strong impact on Georgian young people comes to formation of families and christian values.

What Our research is focused on understanding of importance of family among young Georgian people (mostly among religious people). We are interested in influence of Christian studies on marital relations and cohabitation, which is strictly set and formed by God. According to Saint Paul we should imitate his behaviors as he did imitating Christ.

This is the first qualitative qualitative research for the analysis of the Epistle to the Ephesians.

სარჩევი

რეზიუმე iv

შესავალი vi

თავი I. ქრისტიანული ოჯახის გენეზისი 11

თავი II. პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლის ანალიზი 26

თავი III. თვისებრივი კვლევის ანალიზი 45

თავი IV. ეფესელთა მიმართ ეპისტოლის ანალიზისა და თვისებრივი კვლევის ურთიერთკავშირი 64

დასკვნა 67

გამოყენებული ლიტერატურა 69

შესავალი

ღვთისმეტყველებისთვის „ქრისტიანული სიყვარული“ პირველი და უკანასკნელი ცხოვრებისული პრინციპია, რომელიც ახალ და ერთადერთ მცნებად დაუდო ქრისტემ მორწმუნეებს: „ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ. არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრისთვის“ (იოან. 15:12-13).

ეს „გამოწვევა“ უნდა გავიგოთ არა როგორც წარსულში თქმული ერთჯერადი მოვლენა, არამედ აწმყოში მიმდინარე ურთიერთობა, რომლის გარეშე თეოლოგიური ცოდნა ონტოლოგიურ მნიშვნელობას კარგავს: „სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცაღა წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა“ (1კორ.13:8).

ოჯახი წარმოადგენს ქრისტიანული გზის ერთ-ერთ იმ ინსტიტუტს, რომელიც ზემოთ აღნიშნული სიყვარულის რეალიზების საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამისა, რელიგიური საზოგადოება იმდენად შეეჩვია ფრაზებს - „ქრისტიანული სიყვარული“ და „ქრისტიანული ოჯახი“, რომ თანამედროვე ადამიანისთვის ძნელი ხდება მისი მარადიული და საღვთისმეტყველო მნიშვნელობის გაგება და ჩაწვდომა.[2] ნაშრომის ფარგლებში ვეცდებით, ეს ფრაზები დავცალოთ იმ სოციალური თუ კულტურული გაგებისგან, რომელიც ისტორიის მანძილზე შეითვისა და ფესვი გაიდგა მასში. მართლმადიდებლური ქრისტიანული ეთიკის მიხედვით, განვიხილავთ, თუ რას ამბობს ღვთისმეტყველება ქრისტიანულ ოჯახზე და როგორ აისახება ეს განმარტება ქრისტიანი მრევლის ოჯახურ ემპირიაში.

---

[2] პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (შმენანი), ცოცხალი რწმენის შესახებ, მე-2 გამოცემა, ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 161.

კვლევის მიზანია პავლეს ეპისტოლეებზე დაყრდნობით დავადგინოთ, როგორ რეალიზდება თანამედროვე ქართველ მართლმადიდებელ საზოგადოებაში ქორწინება და ოჯახი, როგორც ეკლესია. რამდენად სწორად ესმით მათ ქრისტიანული ოჯახის მნიშვნელობა, რა პრობლემებს აწყდებიან თანაცხოვრების პერიოდში და როგორ გავლენას ახდენს ქრისტიანული მოძღვრება მათ ოჯახურ ურთიერთობებზე.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს შესაბამისობის დადგენა პავლე მოციქულის თეორიულ საფუძვლებსა და თანამედროვე ქართული საზოგადოების გაგებას შორის.

ჰიპოთეზას რაც შეეხება, ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართული საზოგადოების გაგება ქრისტიანული ოჯახის შესახებ, ძირითად შემთხვევაში, დგას ქრისტიანული მოძღვრების რეალურ საფუძვლებზე.

ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული იქნება ანალიზისა და თვისებრივი კვლევის, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდები. ამ მეთოდთა გამოყენება გაზრდის კვლევის სანდოობას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა რესპონდენტებისგან დეტალური, ღრმა და თანმიმდევრული ინფორმაცია მივიღოთ, მათი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება გარკვეული კანონზომიერების დადგენა, ზოგ შემთხვევაში კი, საერთო ხასიათის დასკვნების გაკეთება ქრისტიანულ მოძღვრებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას შორის. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა უშუალოდ ინტერვიუს მსვლელობისას წამოვწიოთ, ან განვავითაროთ ახალი თემები, რომლებიც აქტუალურია კვლევისთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული კვლევის დაგეგმვის ეტაპზე. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს სადისკუსიო გეგმა, რომელიც ემყარება ინტერვიუს პროცესში განსახილველი თემებისა და საკითხების წინასწარ შესწავლას. სადისკუსიო გეგმა გვეხმარება ვაკონტროლოთ

ინტერვიუს პროცესი, არ გამოვტოვოთ მნიშვნელოვანი საკითხები და მაქსიმალური ინფორმაცია მივიღოთ რესპონდენტებისაგან საკვლევ თემაზე. ინტერვიუ ღია და დახურულ კითხვებზე დაყრდნობით წარიმართება. კითხვებზე პასუხის გაცემისას სრული თავისუფლება ენიჭება რესპონდენტს საკუთარი აზრის გამოხატვაში.

თავი I. ქრისტიანული ოჯახის გენეზისი

ქრისტიანობას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კაცობრიობის კულტურაში ყოვლისმომცველი სიყვარულის პრინციპის შემოტანის გამო, რომელიც გახდა კაცობრიობის არსებობის საფუძველი.[3] ახალი აღთქმის ყველა ტექსტი განმსჭვალულია სიყვარულის მოწოდებით.[4] საუკუნეების განმავლობაში ეკლესიის მამები და სულიერი მოძღვრები ცდილობდნენ, რომ სიყვარულის იდეალი ადამიანის ცნობიერებაში შეეტანათ.[5] ამიტომაც, დღეს, როდესაც სეკულარიზებულმა და ტექნიკურ პროგრესზე უკიდურესად დამოკიდებულმა კაცობრიობამ მოულოდნელად, მკვეთრად იგრძნო სიყვარულის დეფიციტი,[6] არ იქნება ურიგო, გავიხსენოთ ქრისტეს ქადაგება მთაზე, რომელმაც დაახლოებით 2 000 წლის წინ გაიჟღერა: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის“ (მათ. 5:44,45).

ქრისტიანობამ თავიდანვე მიიჩნია თავი ფუნდამენტურად ახალი ეთიკის, ადამიანის ახალი ხედვის, სამყაროში მისი ადგილის და ადამიანის არსებობის ახალი კანონების მატარებლად.[7] ქრისტეს მოწოდება მთაზე საზოგადოებას სთავაზობს სრულიად ახალ მორალს, რომელიც ეფუძნება ღვთის, მოყვასის და მტრის სიყვარულის პრინციპს. ახალი მცნებები მოცემულია არა როგორც ძველის გაუქმება, არამედ როგორც მათი განსრულება.[8] „თქვენ გსმენიათ

---

[3] Иванов А., О понятии любви в христианстве, <https://p.dw.com/p/6Snc> [12.08.2020].
[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] Рюмина М.Т., Христианская этика, <https://bit.ly/3djEIZz> [9.9.2020].
[8] იქვე.

შემდეგი გამონათქვამი: „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ. თუმცა, მე გეტყვით ჩემს მსმენელთ: არ აღუდგე ბოროტებას. ვინც ერთ ლოყაში გაგარტყავს, მეორეც მიუშვირე. ხოლო ვინც მოსასხამს წაგართმევს, პერანგიც მიეცი მას...“ (მათე 5:38 – 41).

მახარებლები და ეკლესიის მამები იესო ქრისტეს მოვლენას, მის ტანჯვასა და ჯვარცმას ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვის მიზნით, განმარტავენ, როგორც უფლის უდიდეს სიყვარულს კაცობრიობის მიმართ: „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან.3:16).

ღვთისმეტყველებაში ეკლესიის მრავალი მამის თუ მოაზროვნის სწავლების ცენტრალური იდეა სწორედ ყოვლისმომცველი სულიერი სიყვარული გახდა. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

ნეტარი ავგუსტინე მიიჩნევდა, რომ არსებობს სიყვარულის ორი ტიპი[9]: პირველი - ხორციელი ლტოლვა, ანუ მიწიერი სიყვარული, რომელსაც ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ყოველივე წარმავალის მიმართ და მეორე - წმინდა სიყვარული, რაც იწვევს მარადიულისკენ სწრაფვას. ნეტარი ავგუსტინეს თანახმად, სიყვარული სულის სურვილია, მიიღოს სიხარული უფალთან სიახლოვით.[10] ეს გამოიხატება როგორც საკუთარ თავზე, ასევე მოყვასზე მზრუნველობით. ასეთი სიყვარული არ არის ჩაკეტილი ორს შორის, არამედ მიმართულია მათ ირგვლივ გარემოზეც. ხორციელი სიყვარული კი მიმართულია წარმავალი სამყაროსა და ინდივიდისკენ, ჩაკეტულობისკენ, ასეთივეა მისი ბუნებაც, ხოლო სულიერი სიყვარული ამის საპირისპიროდ,

[9] St. Augustine, The City of God (Book XIV, 28) <https://www.newadvent.org/fathers/120114.htm> [8.9.2020].
[10] იქვე.

მიმართულია მარადიულობისკენ და მიზნად ისახავს შემოქმედთან დაახლოებას.[11]

ერთ-ერთი უდიდესი ბერი, გრიგოლ პალამა, ადამიანის სულს ლამპის სახით წარმოიდგენდა, რომელშიც კეთილი საქმეები ზეთია, ხოლო სიყვარული - ფითილა.[12] „სიყვარულში, როგორც სინათლეში, იმყოფება სულიწმიდის მადლი“, - წერდა პალამა. იმ შემთხვევაში კი, თუ პიროვნება არ ჩადის კარგ საქმეებს, მაშინ სულის ფითილა, რომელიც წარმოადგენს სიყვარულს, წყვეტს ნათებას, ხოლო, ამასთან ერთად, ღვთაებრივი ნათელი და სულიწმიდის მადლი ქრება. პალამა ნათლად გამოხატავდა სიყვარულსა და სათნოებებს შორის განუყოფელ კავშირს.[13] სათნოებები სახლის კედლებს შეიძლება შევადაროთ, ხოლო სიყვარული მისი სახურავია. როგორც სახლი უსარგებლოა სახურავის გარეშე, ასევე სათნოება კარგავს აზრს სიყვარულის გარეშე და პირიქით - სახურავს არ მოაქვს არანაირი სარგებელი, თუ არ არსებობს კედლები, რომელსაც დაეყრდნობა ის. ადამიანებს შორის ურთიერთობებში სიყვარული აღმოცენდება კეთილი საქმეების საფუძველზე და ისინი წარმოადგენენ როგორც წარმოშობის საფუძველს, ასევე საყრდენს[14].

ბიზანტიის ეკლესიის მამები მკვეთრად განასხვავებენ „კაცობრიულ“ სიყვარულს „წუთისოფლისეული“ სიყვარულისგან[15]. თითოეული ადამიანის მიმართ სიყვარული, როგორც უანგარო მსახურება, მათთვის ასოცირდებოდა მუდმივ მზრუნველობასთან და დახმარების გაწევასთან, რამდენადაც უფლის წინაშე ისინი მთელი სამყაროსთვის ლოცულობენ. ამის საპირისპიროდ, ''წუთისოფლის'', ანუ ამქვეყნიური ამაოებით და სიამოვნებებით (პატივი,

---

[11] იქვე.
[12] Святитель Григорий Палама, Беседы (омилии), Омилия I, Перевел с греч. архим. Амвросий (Погодин), М.: Паломник, 1993, <https://azbyka.ru/otechnik/Grigorij_Palama/homilia/1#sel= > [8.9.2020].
[13] იქვე.
[14] იქვე.
[15] Иванов А., О понятии любви в христианстве, <https://p.dw.com/p/6Snc> [12.08.2020].

სიმდიდრე, ფუფუნება, ხორციელი ლტოლვა) ტკბობა ადამიანს მხოლოდ ზიანს აყენებს და აშორებს მთავარს, ღმერთს. სწორედ ამავეს ამტკიცებდა პალამა, რომლის თქმითაც, უფლისადმი სიყვარული სათნოების საფუძველია, ხოლო „წუთისოფლის“ სიყვარული არის ყველა ბოროტების საწყისი.[16] სიყვარულის ეს სახეობები ერთმანეთს ანადგურებენ, მათი საწყისი კი ადამიანის ორმაგ ბუნებაში მდგომარეობს. ადამიანის სული სულიერი სიყვარულისკენ და სულიერი სიამოვნებისკენ ილტვის, ხოლო მისი სხეული ისწრაფვის ხანმოკლე ხორციელი სიამოვნებისკენ. მაშასადამე, სული ღვთისადმი სიყვარულით არის დატვირთული, ხოლო სხეული - ამ სოფლისთვის. ამ ორი, განსხვავებული ტიპის სიყვარულს შორის ბრძოლა მუდმივად ხდება ყველა ადამიანში.[17]

ახალ აღთქმაში თანაზიარი და ყოვლისმომცველი სიყვარული აყვანილია სრულყოფილების უმაღლეს საფეხურამდე.[18] ის თვითონ ღმერთია (1იონ. 4:8). უფალს იმდენად უყვარს ხალხი, რომ თავისი ძე გასწირა მათ გადასარჩენად[19]. სწორედ ამიტომ, ახალი აღთქმის ხალხს მოუწოდებენ, რომ შეიყვარონ ერთმანეთი თავდაუზოგავად. ამისათვის მათ შეუძლიათ მიიღონ უმაღლესი ჯილდო - შეიცნონ ღმერთი. „თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს და მისი სიყვარული სრულყოფილებას აღწევს ჩვენში “ (1იონ. 4:12), - წერს მოციქული იოანე თავის პირველ ეპისტოლეში და განაგრძობს: „ვისაც არ უყვარს, ვერ შეუცვნია ღმერთი, რადგანაც ღმერთი სიყვარულია“ (1 იონ. 4:8); „ჩვენ შევიცნეთ და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც აქვს ღმერთს ჩვენდამი. ღმერთი სიყვარულია და სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ღმერთი კი - მასში” (1 იონ. 4:16).

---

[16] Святитель Григорий Палама, Беседы (омилии), Омилия I, Перевел с греч. архим. Амвросий (Погодин), М.: Паломник, 1993, <https://azbyka.ru/otechnik/Grigorij_Palama/homilia/1#sel= > [8.9.2020].

[17] იქვე.

[18] Иванов А., О понятии любви в христианстве, <https://p.dw.com/p/6Snc> [12.08.2020].

[19] იქვე.

სიყვარულის შეცნობა ადამიანს სრულყოფს და აახლოვებს ღმერთთან, აძლევს მას თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.[20] სიყვარული, როგორც ადამიანის არსებობის უმაღლესი მდგომარეობა, ასევე ათავისუფლებს ადამიანს „ღვთის შიშისგან“.[21] მოციქული იოანეს სიტყვებით: „ სიყვარულისთვის უცხოა შიში, რადგანაც სრულქმნილი სიყვარული აძევებს შიშს; ვინაიდან შიშს თან ახლავს ტანჯვა, ხოლო მოშიში არასრულქმნილია სიყვარულში" (1 ინ. 4:18).

„ღმერთი სიყვარულია“ - ამ მოკლე ფორმულაში მდგომარეობს ქრისტიანობის ღრმა და ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის აზრი, რაც, გარკვეულწილად გაუგებარი და აქტუალური რჩება სამყაროსთვის.

ბიზანტიელი წმინდა მამა, მაქსიმე აღმსარებელი, ქრისტიანული ანთროპოლოგიის საზღვრებში, სრულყოფილად აღწერს ადამიანზე დაკისრებულ მისიას.[22] ის განმარტავს შესაქმეში თანმიმდევრულ დაყოფებს, რომელმაც სინერგიის წყალობით უნდა მიაღწიოს შეერთებას, ანუ განღმრთობას საღვთო სიყვარულის ძალით. გრძნობად სამყაროში ზეცა და მიწა გაყოფილია ერთმანეთისგან. მის ზედაპირზე გამოყოფილია სამოთხე და ბოლოს სამოთხეში მობინადრე ადამიანი იყოფა ორ სქესად: მამაკაცად და დედაკაცად.[23]

ადამსა და ევას ეს დაყოფა უნდა დაეძლიათ შეგნებული ქმედებებით, საკუთარ თავში შეეერთებინათ ქმნილი კოსმოსის ერთობლიობა და ამასთანავე მიეღწიათ განღმრთობისათვის.[24] ეს, პირველ რიგში, უნდა ყოფილიყო წმინდა ცხოვრება, უფრო მეტად, აბსოლუტური კავშირი, ვიდრე სქესთა გარეგნული შეერთება. უნდა გადალახულიყო მათი დაყოფა ისეთი უმანკოებით, რომ იგი

---

[20] Рюмина М.Т., Христианская этика, <https://bit.ly/3djEIZz> [9.9.2020].
[21] იქვე.
[22] ლოსკი ვ., დოგმატური ღვთისმეტყველება, ზ. ეკალაძის თარგმანი, თბილისი, 2007 <https://bit.ly/33J38bw> [6.9.2020].
[23] იქვე.
[24] იქვე.

ერთ მთლიანობად ქცეულიყო. მეორე ეტაპზე, ეს უნდა ყოფილიყო ღვთის სიყვარული, ყოველივეს უარმყოფელი და ამავე დროს ყოვლისმომცველი და შეეერთებინა სამოთხე დანარჩენ მიწიერ კოსმოსთან. ატარებდა რა სამოთხეს თავის თავში, ადამს მთელი დედამიწაც სამოთხედ უნდა გადაექცია. მესამე - მის სულს და სხეულს უნდა დაეძლია სივრცე, გრძნობადი სამყარო მთელი ერთობლიობის შეერთებით: დედამიწისა და ზეციური მყარის შეერთებით. შემდგომ ეტაპზე მას უნდა შეეღწია ზეციურ კოსმოსში, ეცხოვრა ანგელოზთა ცხოვრებით, შეეთვისებინა მათი შეგნება (გაგება) და შეეერთებინა საკუთარ თავში გონებაჭვრეტითი სამყარო გრძნობად სამყაროსთან. და ბოლოს, კოსმიური ადამი სამუდამოდ მისცემდა რა საკუთარ თავს ღმერთს, გადასცემდა მას მთელ მის ქმნილებას, ხოლო მისგან სანაცვლოდ მიიღებდა სიყვარულს მადლით, ე.ი. ყველაფერს, რასაც ფლობს ღმერთი საკუთარ ბუნებაში. ასეთნაირად, ქმნილად და არაქმნილად განყოფის გადალახვით აღსრულდებოდა ადამიანის განღმრთობა, ხოლო მისით კი - მთელი კოსმოსის.[25]

ცოდვით დაცემის მიუხედავად, ღვთის გეგმა ადამიანზე არ შეცვლილა. თუმცა შეიცვალა მისი აღსრულების "გარემოება". ქრისტემ, ადამიანად მოსულმა ღმერთმა, აღასრულა ადამის მისია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მან ადამიანის ადგილი დაიკავა.[26] ღმერთის უსაზღვრო სიყვარულს არ შეუძლია შეცვალოს ადამიანური თავისუფლების თანხმობა, მაგრამ ის ადამიანს უბრუნებს საშუალებას განასრულოს საქმე, კვლავ აღუდგენს გზას განღმრთობისაკენ.[27] მაშასადამე, იმისათვის, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანს შესძლებოდა „ღმერთად" გახდომა, საჭირო იყო ღმერთი განკაცებულიყო. ახალ ადამს უნდა გადაელახა და დაეძლია ძველი ქმნილების ყველა გაყოფა, რათა გამხდარიყო ახალი ქმნილების თავადი. ქალწულ

[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] Преподобный Максим Исповедник, Главы о любви, М. : Сибирская благозвонница, 2013, 256.

მარიამისაგან შობით, ქრისტე აღემატება სქესთა განყოფას და ადამიანებს უცხადებს "სიყვარულის" გამოსყიდვის ორ გზას - ქრისტიანულ ქორწინებასა და მონაზვნობას.[28]

როდესაც ქრისტიანობამ იუდაიზმისგან დამოუკიდებელი იდენტობის ფორმირება დაიწყო, ქრისტიანი ღვთისმეტყველები შეუდგნენ ძირეული თეოლოგიური საკითხების განსაზღვრას, მათ შორის, ქორწინების მნიშვნელობის განხილვას. კლიმენტი რომაელი პირველ საუკუნეში ქორწინების თაობაზე აცხადებდა, რომ ქორწინება უნდა ყოფილიყო სიყვარულზე დაფუძნებული უბიწო და წმინდა.[29] ეგნატე ანტიოქიელი ქორწინებას აფასებდა, როგორც ცოლ-ქმარს შორის თანაზიარ ურთიერთობას, თუმცა ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უქორწინობის აღთქმას უფრო ანიჭებდა უპირატესობას, ვიდრე ხორციელ კავშირზე დამყარებულ ცოლქმრულ ურთიერთობას.[30] მეორე-მესამე საუკუნეში ლათინელმა მამებმა შეცვალეს გაბატონებული დამოკიდებულება და ქალწულობის შემდეგ, მეორე ადგილზე დააყენეს ქორწინება.[31] ამ პერიოდის მრავალი ქრისტიანი ღვთისმეტყველი გნოსტიკური[32] რწმენის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მათ სჯეროდათ, რომ მატერიალური სამყარო ძალიან დამახინჯებული იყო და ერთადერთ სულიერ მიზანს მათთვის ამ მატერიალური სამყაროდან თავის დაღწევა წარმოადგენდა. კლიმენტი ალექსანდრიელი მიიჩნევდა, რომ ქორწინებაში ხორციელი კავშირი მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობის გამრავლებისთვის, მაგრამ რელიგიური თვალსაზრისით ქალწულობა მაინც უპირატესი იყო.[33]

---

[28] იქვე.

[29] წმიდა კლიმენტი რომაელი, პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თ-ბი. 1, 21, 50., <https://bit.ly/3iP58n0> [7.9.2020].

[30] The Epistle of Ignatius to Polycarp, Chapter 5, <https://www.newadvent.org/fathers/0110.htm> [5.9.2020].

[31] Encyclopedia of Love In World Religions, EDITOR Yudit Kornberg Greenbergm, 2008, 393.

[32] ეკალაძე ზ., გნოსტიციზმი, წიგნიდან: „აპოლოგეტიკური წერილები“, <https://bit.ly/2GSb0yP> [9.9.2020].

[33] Clement of Alexandria, Stromata, Book III, Chapter I, https://bit.ly/3nBMZNh [5.9.2020].

წმინდა ავგუსტინე (ნეტარი), სექსუალობის მიმართ გამოხატავდა გაორებულ დამოკიდებულებას, თუმცაღა, მაინც ერთგვარ დასკვნამდე მივიდა.[34] კერძოდ, ქორწინებას, თუ ის ერთგვარ კომპრომისს წარმოადგენს კაცობრიობის „ხორციელი“ ბუნებისთვის, თავისი დადებითი მხარეები გააჩნია იმ შემთხვევაშიც, თუ მხედველობაში სახეობის გამრავლების ფაქტორი არ გვექნება.[35] მიუხედავად ამ თეორიებისა, ქორწინებაში უბიწოება მიჩნეულია სათნოებად. აქედან გამომდინარე, წმინდა ავგუსტინე ქორწინების ინსტიტუტის შემდეგნაირ ინტერპრეტაციას ახდენდა: მისთვის ეს იყო წმინდა რიტუალი და სწორედ მის სახელს უკავშირდება მარადიული ქორწინების შესახებ ტრადიციის შემოღება.[36]

რეფორმაციისა და კათოლიკური კონტრ-რეფორმაციის მონაწილეებმა ქორწინების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ნელ-ნელა აამაღლეს. მართალია, რეფორმატორებმა ღვთის მოწოდების სახელით არ აკრძალეს, თუმცა უარყვეს უქორწინობის აღთქმის უპირატესობა, რაც იმ დროისთვის იყო გაბატონებული საზოგადოებაში.[37] მათ ქორწინება ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობა გახადეს ადამიანთათვის, მათ შორის სასულიერო პირებისთვისაც. მოგვიანებით ბევრი პროტესტანტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წყვილისთვის სათანადო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, განქორწინების უფლება მიეცათ.[38] კათოლიკური ეკლესიის ღვთისმეტყველებმა აამაღლეს ქორწინებაზე არსებული წარმოდგენები საზოგადოებაში, მაგრამ, ამავდროულად, არც ქალწულობის სტატუსი დაკნინებულა. მაგალითად, ჰოლანდიელი ფილოსოფოსი და ქრისტიანი მეცნიერი, ერასმუსი წერდა:

---

[34] St. Augustine, Of the Good of Marriage, Translated by C.L. Cornish, <http://www.newadvent.org/fathers/1309.htm> [4.9.2020]
[35] იქვე.
[36] იქვე.
[37] Encyclopedia of Love In World Religions, EDITOR Yudit Kornberg Greenbergm, 2008, 394.
[38] იქვე.

”ყველაზე წმინდა, მოკრძალებული და უმანკო ცხოვრების წესი ქორწინებაში მდგომარეობს ”.[39]

ქორწინების შესახებ ახალაღთქმისეული მოძღვრება ძველაღთქმისეულისაგან სწორედ იმით განსხვავდება მკვეთრად, რომ მისი ძირითადი საზრისი სიყვარული და ქმრისა და ცოლის მარადიული ერთიანობაა.[40] ქორწინების შესახებ არც ერთ ახალაღთქმისეულ ტექსტში შვილების გაჩენა არ მოიხსენიება, როგორც ქორწინების მიზანი ან გამართლება.[41]

მოციქულთა ნაწერებში ოჯახი უშუალოდ „ეკლესიად“ იხსენიება: „რომელნიც თავს სწირავდნენ ჩემი სიცოცხლისათვის და რომელთაც არა მარტო მე ვმადლობ, არამედ წარმართთა ყველა ეკლესიაც“ (რომ. 16:4); „მოიკითხეთ ლაოდიკელი ძმები, აგრეთვე ნიმფასი და მისი შინაური ეკლესია“ (კოლ. 4:15). საეკლესიო თვალსაზრისით, ოჯახს დიდი ყურადღება მართებს, რომ მან თავისი დანიშნულება ზუსტად შეასრულოს. ქრისტიანობა ამ კურთხევას განიხილავს, როგორც საიდუმლოს. რაშიც იგულისხმება, რომ ორმა ადამიანმა სახლში „ააშენონ ეკლესია“[42], ერთმანეთში დაამყარონ ჭეშმარიტად ქრისტეზე მდგარი პიროვნული ურთიერთობა, შვილები აღზარდნონ რწმენით, სახარებისეული მცნებებით იცხოვრონ ღმერთისთვის, ერთმანეთისთვის და გარშემომყოფებისთვის.[43] ასევე, მოთმინებით და თავმდაბლად გაუძლონ იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც შეიძლება ოჯახურ ცხოვრებაში შეხვდნენ.[44] წინააღმდეგობებში იგულისხმება არა მხოლოდ ყოფითი ცხოვრების

---

[39] იქვე.
[40] პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020].
[41] იქვე.
[42] ლიმასოლის მიტროპოლიტი ათანასე, ოჯახი - ეკლესია შინ, <https://www.pemptousia.ge/2018/05/24/51607/>[1.9.2020].
[43] იქვე.
[44] იქვე.

პრობლემები, არამედ დაცემული ბუნება[45]: ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი, სიამაყე, პატივმოყვარეობა, სიფიცხე, ჰედონიზმი და ის თვისებები, რომელიც მიმართულია არა ერთობასა და თავის გაღებისკენ, არამედ მეორე ადამიანისგან გამოყოფასა და იზოლაციისკენ.

აღმოსავლელი მამები ერთმანეთისგან მიჯნავენ პიროვნებისა და ინდივიდის ცნებას. ამრიგად, ოჯახურ ცხოვრებაში ვხვდებით რეალიზებისა და თვითშემეცნების ორ განსხვავებულ, მაგრამ კორელაციურ გზას:

1. „მე“ როგორც ინდივიდუუმის შემეცნება. ასეთი „მე“ ამტკიცებს საკუთარ თავს და მეორე მხარეს კი უკუაგდებს.[46] მას არ სურს საკუთარი თავის დანახვა მთლიანობაში, როგორიც ის ობიექტურ რეალობაში არის, რადგან რცხვენია და გაურბის პრობლემის თავის თავში დანახვასა და აღიარებას. ის ურთიერთობის საზღვრებში ესწრაფვის გამოიყოს, გამოცალკევდეს როგორც ინდივიდი და ამით გადაფაროს საკუთრი სულიერი უძლურება.[47] ამიტომ, მოცემულ „მეს“ არასოდეს სურს იყოს რეალური, რადგან რეალურად ყოფნა ნიშნავს ღმერთისა და ადამიანების წინაშე საკუთარი უძლურების გამხელას. ასეთ „მეს“ არ სურს გაიგოს, რას ამბობენ მასზე სხვა ადამიანები და უფრო მეტიც, თუ რას ამბობს მასზე ღვთის სიტყვა. [48]

2. მეორე მხრივ – პიროვნება, რომელიც თავის სისავსეს და თავის სიხარულს პოულობს ადამიანთან თანაზიარებაში. ურთიერთობაში ეძებს არა სხვაობას, არამედ შემაკავშირებელ, საერთო სიკეთეს.[49] ამ ყოველივეს შესანარჩუნებლად ის ცდილობს მოიკვეთოს ეგოიზმი, რითიც საკუთარ თავში ანადგურებს ინდივიდუუმს. პიროვნებას არ ახასიათებს არაფერი

---

[45] იქვე.
[46] მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), თვითშემეცნების შესახებ, დ. ფაჩულიას თარგმანი, <https://bit.ly/36OSemw> [6.9.2020].
[47] იქვე.
[48] იქვე
[49] იქვე

ურთიერთდაპირისპირებადი და არაფერი თვითმტკიცებადი.[50] პიროვნება – ჰიპოსტასი[51] არის ურთიერთობა, რომელიც იმ ადამიანის მდგომარეობაა, ვისაც უყვარს გულის სრულ თავისუფლებაში. ასეთი ადამიანი თავისუფლდება ინდივიდუუმის ტყვეობისგან და კვლავ აღწევს იმ ჰარმონიაში, რომელიც ყოვლისმომცველ ღვთაებრივ სიყვარულს წარმოადგენს.[52] იყო პიროვნება ნიშნავს, განამტკიცო სხვებთან თანაზიარება და ამ თანაზიარებისთვის ისეთი რამ, რაც მანამდე არასოდეს არსებობდა.[53]

ქრისტიანული ოჯახის არსებობა იწყება ჯვრისწერის მღვდელმოქმედებით.[54] IX საუკუნემდე არ არსებობდა ჯვრისწერის წესი, რომელიც ევქარისტიისგან განცალკევებული იქნებოდა.[55] დასაქორწინებელი წყვილი კურთხევას იღებდა ეპისკოპოსისაგან, თვითონ საიდუმლო კი აღსრულდებოდა ევქარისტიაში წყვილის მონაწილეობითა და ქრისტეს წმინდა სისხლთან და ხორცთან ზიარებით.[56] X საუკუნეში ჩნდება ჯვრისწერის განსხვავებული წესები, რომლებიც ევქარისტიული ლიტურგიისგან განცალკევებულადაც სრულდება და საყოველთაოდ გამოიყენებოდა.[57] დღესდღეობითაც ჯვრისწერის მსახურება ევქარისტიისგან დამოუკიდებლად აღესრულება.

---

[50] იქვე.
[51] პეტროზილო პიერო, ქრისტიანობის ლექსიკონი, მ. სააკაშვილის თარგმანი, მ. ღაღანიძის რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011, 419.
[52] მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), თვითშემეცნების შესახებ, დ. ფაჩულიას თარგმანი, <https://bit.ly/36OSemw> [6.9.2020].
[53] კლემანი ო., პიროვნებები თანაზიარებაში, ზ. ჯაშის თარგმანი, <https://bit.ly/3drv86T> [3.9.2020]
[54] მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე, თ. გოგილაშვილის თარგმანი, <https://bit.ly/2GJS4SO> [6.9.2020].
[55] პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020].
[56] პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (შმენანი), ცოცხალი რწმენის შესახებ, მე-2 გამოცემა, ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 256.
[57] პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020].

ჯვრისწერის მსახურების ერთ-ერთი მთავარი საკითხავი „კანას გალილეის“ ეპიზოდია. ის მოციქულის წერილიდან საკითხავის შემდეგ, იოანეს სახარების მეორე თავიდან იკითხება:

„მესამე დღეს ქორწილი იყო გალილეას კანაში, და იყო იქ იესოს დედა. იესო და მისი მოწაფეებიც მიწვეულნი იყვნენ ქორწილში. და რაკი ღვინო შემოაკლდათ, იესოს დედამ უთხრა მას: ღვინო არა აქვთ. ხოლო იესომ მიუგო: მერედა, რა ჩემი და შენი საქმეა, დედაო? ჯერ კიდევ არ დამდგარა ჩემი საათი. დედამისმა უთხრა მსახურებს: რასაც გეტყვით, აღასრულეთო. იყო იქ ექვსი ქვის კასრი, იუდეველთა განწმენდის ჩვეულებისამებრ დადგმული, რომლებშიაც ჩადიოდა ორი თუ სამი საწყაო. უთხრა მათ იესომ: აავსეთ კასრები წყლით; და მათაც აავსეს პირთამდე. კვლავ უთხრა მათ: ახლა კი ამოიღეთ და მიართვით თამადას. და მიართვეს. როცა თამადამ გემო გაუსინჯა ღვინოდ ქცეულ წყალს (თუმცა მან არ იცოდა, როგორ მოხდა ეს: იცოდნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებმაც ამოიღეს წყალი), მოუხმო სიძეს. და უთხრა: ყველა კაცი ჯერ უკეთეს ღვინოს ჩამოდგამს, ხოლო როცა დათვრებიან, უარესს; შენ კი უკეთესი ღვინო აქამდე შემოგინახავს. ასე დაუდო დასაბამი იესომ სასწაულებს გალილეის კანაში და გამოავლინა დიდება თვისი. და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმა“ (იოან. 2:1-11).

პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი წერს, რომ ქორწინების საიდუმლოს, როგორც სიყვარულის საიდუმლოს საზრისი, არაფერში გამოიხატება ისე კარგად, როგორც მღვდლად კურთხევასთან, მღვდლობის საიდუმლოსთან მის ლიტურგიულ მსგავსებაში.[58] ყოველი ადამიანი მოწოდებულია საყოველთაო მღვდლობისთვის, ანუ ევქარისტიულ არსებად, რომელსაც შეუძლია თავგანწირვა და მსხვერპლის გაღება, რაც გულისხმობს, ადამიანმა ღმერთს აღუვლინოს დიდება და ამით სამყარო აქციოს ღმერთთან

[58] პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (შმენანი), ცოცხალი რწმენის შესახებ, მე-2 გამოცემა, ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 259.

ურთიერთობად.[59] ეს ეკლესიაში ყველას მიეცა (1 პეტრე 2:9). ამ საყოველთაო და „სამეუფეო მღვდლობასთან“ მიმართებით შეიძლება გავიგოთ ადგილი და მნიშვნელობა ინსტიტუციური მღვდლობისა. ეს მღვდლობა არის ქრისტესეული მღვდლობა, განგრძობა და აქტუალიზაცია ქრისტეს პირადი მსახურების, რომლითაც იგი იხსნის ქვეყნიერებას.[60] არავის შეუძლია თავისი თავი „აქციოს“ მღვდლად, ან „დაიმსახუროს“ მღვდლობა თავისი ტალანტით. ეს მოწოდება ღვთის განგებიდან და ნებიდან მოდის: „აძოე კრავნი ჩემნი... დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ (იოან. 21:15-16). მღვდელი რაიმე „სიწმინდეს“, როგორც განსაკუთრებულ ძალას, კი არ იღებს ხელდასხმის დროს, არამედ იღებს ქრისტეს სიყვარულს, იმ სიყვარულს, რომელმაც ქრისტე ერთადერთ მღვდლად აქცია და რომელიც ამ ერთადერთი მღვდლობით აღავსებს იმათ, ვისაც ქრისტე წარგზავნის ეკლესიაში.[61] სწორედ ამ აზრითაა მღვდლად ხელდასხმის საიდუმლო, ქორწინების საიდუმლოს მსგავსი.[62] ორივე საიდუმლოს არსი სიყვარულის საიდუმლოა, როგორც ცხოვრების შინაარსი და როგორც სასუფევლის შინაარსი.[63] ისევე, როგორც ყოველი ქორწინება მაღლდება ქრისტესა და ეკლესიის საიდუმლომდე, ზუსტად ასევე ამ საიდუმლომდე მაღლდება მღვდლობაც.[64] ორივე საიდუმლო ადამიანის ცხოვრებას მიავლენს, როგორც მოწოდებას - მისდევდეს ქრისტეს მისი სიყვარულის სისავსეში.[65]

იოანე მეიენდორფი ქორწინებასა და ევქარისტიას ერთმანეთთან შინაგანად აკავშირებს. მისი აზრით, ეს კავშირი წარმოადგენს ახალაღთქმისეული

---

[59] იქვე.
[60] იქვე, 260.
[61] იქვე,
[62] იქვე, 261.
[63] იქვე.
[64] იქვე.
[65] იქვე.

ტექტების გაგების გასაღებს.[66] ის ფიქრობს, რომ ამ კავშირის აღდგენის გარეშე მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართება ქორწინებასთან, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე ეკლესიის გარეთ, დაკარგულია. ეკლესიურ ცნობიერებაში ამ კავშირის დაკარგვამ მრავალი გაუგებრობა გამოიწვია და საჭიროებს აღდგენას.[67]

კანას გალილეის ქორწილის ეპიზოდი ევქარისტიის წინასწარ რემინისცენციადაც შეიძლება დავინახოთ და ამ გაგებითაც მივიღოთ ის აღსრულებულ სასწაულად. რელიგიური ადამიანი უხსოვარი დროიდან ისწრაფვის სასწაულებისკენ, რადგან სურს თავისი სურვილების ზებუნებრივი გზით შესრულება.[68] თუმცაღა, ღვთისმეტყველებაში სასწაულების მიზანი არასდროს განიხილება გარეგანი სარგებლის მიღებად. მისი მნიშვნელობა, პირველ რიგში, მიმართულია ჭეშმარიტების შინაგანად შეცნობისა და ფერიცვალებისკენ.[69] სუროჟელი აღნიშნავს: ერთადერთი საიდუმლოება, რომელიც ადამიანმა ღვთისაგან განშორებისა და სამოთხიდან განდევნის შემდეგ შემოინახა, ქორწინების საიდუმლოა.[70] ქრისტიანული გამოცდილების გარეშეც ქორწინება საიდუმლოა იმ აზრითაც, რომ ამ დროს ქალსა და მამაკაცს შორის, რამდენადაც შესაძლებელია დაცემული სამყაროს პირობებში, ხდება იმ ერთობისა და სიხარულის აღდგენა, რაზეც საუბარია შესაქმის წიგნში.[71] ერთადერთი მცნება, რომელიც ღვთისმშობელმა მისცა მექორწილეებს, არის: „რასაც გეტყვით, აღასრულეთ…“, რაც გულისხმობს, მოუსმინონ იმას, რასაც

---

[66] პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020].
[67] იქვე.
[68] პეტროზილო პიერო, ქრისტიანობის ლექსიკონი, მ. სააკაშვილის თარგმანი, მ. ღაღანიძის რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011, 304.
[69] პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (შმენანი), ცოცხალი რწმენის შესახებ, მე-2 გამოცემა, ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 251.
[70] მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), ქორწინებისა და აღზრდის შესახებ, წიგნში: საფეხურები, თბილისი, 2000, <https://bit.ly/3iIg6dR> [8.9.2020].
[71] იქვე.

ღმერთი ეტყვის მათ და რაც არ უნდა იყოს ეს, აღასრულონ.[72] შესაძლოა ამით ადამიანური დარდი გარდაიქმნას დიდ ზეიმად მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ღმერთს დაუთმეს ადგილი.

პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში, სწორედ ასეთ ქრისტოლოგიურ სიყვარულზე საუბრობს, ცოლისა და ქმრის ურთიერთობის საზღვრებში.

[72] მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე, თ. გოგილაშვილის თარგმანი, <https://bit.ly/2GJS4SO> [6.9.2020].

თავი II. პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლის ანალიზი

პავლე მოციქული მისი პრაქტიკული მოღვაწეობის გამო ქრისტიანობის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად ითვლება, რადგან მან ქრისტიანობის თავდაპირველ გავრცელებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა.[73] ახალი აღთქმის წიგნ „საქმე მოციქულთას“ მიხედვით, პავლე (ჩვ. წ. აღ. დაახლ. 6-64 წწ.) დაიბადა ქალაქ თარსუსში, წარჩინებული ებრაელის ოჯახში.[74] საღვთისმეტყველო განათლება მიიღო იერუსალიმში, ფარისეველ გამალიელის სკოლაში.[75] თავდაპირველად ის აქტიურად მონაწილეობდა ქრისტიანთა დევნაში მანამ, სანამ დამასკოს გზაზე[76] არ გამოეცხადა ქრისტე (საქმ. 9:4,5,6). ამ სასწაულის შემდეგ პავლე გახდა ქრისტეს თავდაუზოგავი მქადაგებელი. ქრისტიანული გადმოცემის თანახმად, ის მოწამეობრივი სიკვდილით გარდაიცვალა რომში.

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესოა პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლის, როგორც პატრისტიკული ტრადიციის, ასევე თანამედროვე განმარტებათა შეთავსება. ეს ეპისტოლე მდიდარია საღვთისმეტყველო საიდუმლოებებით, რომელიც იესო ქრისტემ განუცხადა კაცობრიობას. ეპისტოლე ექვსი თავისგან შედგება და მისი მიზანი, როგორც ამას ავტორი ამბობს (ეფეს.3,2-9), ღვთის განგებულების უწყება, შემდეგ კი მისგან გამომდინარე სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების

---

[73] პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (შმემანი), ცოცხალი რწმენის შესახებ, მე-2 გამოცემა, ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 125.
[74] იქვე, 127.
[75] დიუმულენი პიერ, წმ. პავლეს მოძღვრება და ცხოვრება, ა. მარგველაშვილისა და მ. სულაძის თარგმანი, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., თბილისი, 2010,13.
[76] იქვე, 17.

ჩამოყალიბებაა.[77] ახალი განმმარტებლები ამ ეპისტოლეს მოიხსენიებენ, როგორც „პავლესეული სწავლების შეჯამება“.[78]

ეფესელთა მიმართ წერილებიდან ჩვენთვის ცენტრალურ ტექსტს მეხუთე თავის 22-33 მუხლები წარმოადგენენ, სადაც პავლე მოციქული მამაკაცებსა და ქალბატონებს მოუწოდებს ახალი მორალის მიღებასა და შეთვისებას, რაც ცოლქმრული კავშირის გულწრფელ, სინერგიულ და ნებელობით კავშირად გააზრებას გულისხმობს. მისი ეპოქისთვის ეს რევოლუციურ მოწოდებას წარმოადგენდა, რომელმაც მხოლოდ რამოდენიმე საუკუნის შემდეგ ჰპოვა სოციალური ხორცშესხმა, ხოლო სულიერ ხორცშესხმას ახლაც აგრძელებს. იმისათვის, რომ ჩვენი საუკუნის ადამიანმა, ბოლომდე შეძლოს ამ წერილის ისტორიული თუ რელიგიური მნიშვნელობის სათანადო გაგება, საჭიროა გადავხედოთ იმ დროინდელი ეპოქის თავისებურებებს.

ებრაელები, ზოგადად, ქალებზე დაბალი წარმოდგენის იყვნენ. დილის ლოცვაში ისინი უფლის მიმართ მადლიერებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ ღმერთმა ისინი სამყაროში არ მოავლინა „წარმართის, მონის ან ქალის“ სახით.[79] იუდეური კოდექსის თანახმად, მას აბსოლუტურად არანაირი სამართლებრივი უფლება არ გააჩნდა.[80] ებრაელ ერს, თეორიულად, ძალიან მაღალი იდეალები ჰქონდა ქორწინებასთან დაკავშირებით. რაბინებს შემდეგი ანდაზითაც კი ახასიათებდნენ: "საკურთხეველიც კი ცრემლს ღვრის, როდესაც კაცი თავის ცოლს შორდება"[81]. მიუხედავად ამისა, იმ დროს განქორწინება გაცილებით მარტივი იყო, ვიდრე ახლა. განქორწინებასთან დაკავშირებულ ნორმას წარმოადგენდა მეორე რჯულის კანონი (24.1) „თუ კაცი ცოლს მოიყვანს და

---

[77] მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი), წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, ე. ეკალაძისა და ვ. ჩხიკვაძის თარგმანი, თბილისი, 2010, 135.
[78] იქვე.
[79] БАРКЛИ У., ПОСЛАНИЕ К ЕФЕСЯНАМ, <http://yakov.works/library/02_b/ar/clay_efes.htm> [6.9.2020]
[80] იქვე.
[81] იქვე.

მისი ქმარი გახდება, მერე აითვალწუნებს, რადგან რაღაც სასირცხოს აღმოაჩენს მასში, უნდა დაუწეროს გაყრის წერილი, მისცეს ხელში და გაუშვას თავისი სახლიდან“. ცხადია, რომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გავიგებთ ფრაზას - „აითვალწუნებს, რადგან რაღაც სასირცხოს აღმოაჩენს მასში“. ხანდახან ამ სიტყვებს უფრო ფართო ინტერპრეტაცია ეძლეოდა. ქმარს შეეძლო ცოლს დაშორებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომზადებული სადილი არ მოეწონებოდა; თუ ქალი საზოგადოებრივ ადგილას თავსაბურავის გარეშე გაივლიდა; ქუჩაში მამაკაცებთან ისაუბრებდა და ა. შ.[82] მოსეს კანონის თანახმად, ქმარს, რომელსაც მეუღლესთან განქორწინება სურდა, მისთვის უნდა დაეწერა განქორწინების წერილი, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო: "დაე, ეს იყოს ჩვენი განქორწინების წერილი და შენი განთავისუფლების მოწმობა, რომ შეგიძლია დაქორწინდე შენთვის სასურველ ნებისმიერ მამაკაცზე"[83]. ქმარს ევალებოდა მხოლოდ მსგავსი განქორწინების წერილის დაწერა, რომელიც რაბინის მიერ იქნებოდა შედგენილი ორი მოწმის თანხლებით. ეს საკმარისი იყო განქორწინებისთვის.[84]

ბერძნულ სამყაროში სიტუაცია კიდევ უფრო რთულად იყო. იმ პერიოდისთვის პროსტიტუცია ბერძნული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახლდათ. ბერძნულ საზოგადოებაში მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალები ეწეოდნენ განმარტოებულ ცხოვრების წესს. ისინი არ იღებდნენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ ეკრძალებოდათ ქუჩაში მარტო გამოჩენა. ჰქონდათ საკუთარი სივრცე, სადაც მხოლოდ მეუღლეს შეეძლო შესვლა. ქსენოფონტეს თქმით, ეს ყოველივე მიზნად ისახავდა, რომ მათ რაც შეიძლება ნაკლები კითხვა გასჩენოდათ.[85] სოკრატეს ცნობილი ციტატის მიხედვით: "ცოლი ერთადერთია, რომელსაც

[82] იქვე.
[83] იქვე.
[84] იქვე.
[85] იქვე.

ანდობთ სერიოზულ საქმეებს, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე ნაკლებს მას ესაუბრებით"[86]. ასევე, საბერძნეთში არ არსებობდა სამართლებრივი დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა განქორწინება. ერთ-ერთი გამონათქვამის მიხედვით, განქორწინება რეალურად მხოლოდ ახირებას წარმოადგენდა. ქალის ერთადერთი გარანტი განქორწინების შემთხვევაში, მზისთვის უკან დაბრუნება გახლდათ. ოჯახური კერა და ცხოვრება თანდათან ქრებოდა, ხოლო ცოლქმრული ერთგულება იშვიათად არსებობდა.[87]

რომში კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა იყო. პავლე მოციქულის მოღვაწეობის პერიოდში ოჯახური ცხოვრება ფაქტობრივად განადგურების პირას იმყოფებოდა. სენეკას წერილობითი წყაროების მიხედვით, რომში ქალები ქორწინდებოდნენ იმ მიზნით, რომ განქორწინებულიყვნენ, რასაც შემდგომ წინ უძღვოდა მორიგი ქორწინება. რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა ტიბერიუს ნერონისგან მოითხოვა, რომ განქორწინებულიყო ცოლისგან (ლივია), რომელიც იმ დროს ორსულად იყო, რათა თავად მოეყვანა ცოლად.[88] ციცერონიც კი, საკმაოდ დიდ ასაკში, განქორწინდა იმისთვის, რომ დაქორწინებულიყო ახალგაზრდა მემკვიდრეზე, რომლის მეურვეც იყო. ამ გზით მისთვის ახალგაზრდა ქალბატონის ქონებაც ხელმისაწვდომი გახდებოდა და შეძლებდა ვალის გადახდას.[89] მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ვერავინ იტყვის, რომ ცოლქმრული ერთგულება საერთოდ არ არსებობდა. სუეტონიუს ტრანკვილი თავის ჩანაწერებში მოგვითხრობს რომაელ ქალზე, მალონიაზე, რომელმაც თვითმკვლელობა აირჩია იმპერატორ ტიბერიუსთან დაახლოებას.[90] მაგრამ არ იქნება გაზვიადებული იმის თქმა,

---

[86] იქვე.
[87] იქვე.
[88] იქვე.
[89] იქვე.
[90] იქვე.

რომ რომში მთელი გარემო ოჯახური ღალატითა და მრუშობით იყო გაჯერებული.[91]

ამრიგად, ძველ სამყაროში ქორწინების ინსტიტუტი ნამდვილად საჭიროებდა გაწმენდას კულტურული უკეთურებებისგან და არ იქნება გადაჭარბებული იმის თქმა, რომ ქრისტიანობამ დადებითი გავლენა იქონია არა მხოლოდ მის ინსტიტუციურ შენარჩუნებაზე, არამედ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანასა და განვითარებაზე. პავლემ მეუღლეთა კავშირს სრულიად ახალი საფუძველი მოუძებნა. უპირველეს ყოვლისა, სოტერიოლოგიურ ჭრილში წარმოდგენილი თანასწორობის დებულებით: „აღარ არის იუდეველი, აღარც ბერძენი, აღარც მონა და აღარც თავისუფალი, აღარც მამრი და აღარც მდედრი, რადგანაც ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში“ (გალ. 3,28).

ქრისტეს სხეულის ნაწილის თვისებაა, რომ მის მსგავსად მოქმედებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში.[92] მეუღლეთა შორის სიყვარულის სინერგიულობაც სწორედ ამ ასახვის პირველსახეა. ახალი აღთქმის სხვა არცერთ წიგნში არ არის ისე მკვეთრად ხაზგასმული მეუღლეთა კავშირის სიწმინდის შედარება ქრისტესა და ეკლესიის ურთიერთობასთან, როგორც ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში (5:22-33).[93]

მეხუთე თავი იწყება პავლეს დარიგებით, რომ სიყვარულში ღმერთს უნდა მიბაძო და მისგან იღებდე მაგალითს: „მაშ, მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა. და იარეთ სიყვარულით, როგორც შეგვიყვარა ქრისტემ და ჩვენი გულისთვის შესაწირავად და კეთილსურნელოვან მსხვერპლად მისცა თავისი თავი ღმერთს“ (ეფეს. 5:1-2).

---

[91] იქვე.
[92] კარავიდოპოლუსი ი., პავლე მოციქულის ეპისტოლეები, თ. მთვარელიძის თარგმანი, დეკ. მიქაელის (გალდავა) რეადაქტორობით, თბილისი, 2017, 50.
[93] იქვე.

არქიმანდრიტი თადეოზ ვიტოვნიცელი პავლეს სიტყვებს განმარტავს: „სიყვარული სრულყოფილებაა, რადგან თვითონ ღმერთია სრულყოფილი და როდესაც ადამიანში ღვთაებრივი მადლით აღსავსე სიყვარულია, ამ სიყვარულით არათუ დედამიწა, შეიძლება მთელი სამყარო მოვიცვათ, მაშინ ახლობლებსა და უცხოებს ერთმანეთისგან არ ვანსხვავებთ. ყველა კეთილი და კარგია, საკუთარი თავი კი უღირსად მიგვაჩნია. როდესაც ჩვენზე სულიწმინდის მადლი გადმოდის, მზად ვართ ყველას ვემსახუროთ, რომ ყველა კარგად იყოს, პაწაწინა ჭიანჭველაც კი, რომელიც ტვირთს ძლივს მიათრევს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიყვარული მსხვერპლის გაღებაა. სიყვარული მოყვასისთვის თავს სწირავს და დაუძლეველი იარაღია, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ ქმნილებას არ დავემონოთ და მთელი არსებით ღმერთს შევუერთდეთ, როგორც უფლის მადლით აღსავსე ანგელოზები.[94]“ ამრიგად, საღვთოს სიყვარული თავგანწირული და მსახურებითია.

ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი ღმრთისადმი სიყვარულის შესახებ წერს: „ღმერთი ისე უნდა გიყვარდეს, როგორც მან გვამცნო მისი სიყვარული, და არა ისე, როგორც თვითცთუნებულ მეოცნებეებს ჰგონიათ.[95]“ ის განაგრძობს: „ღმრთისათვის სათნო მსხვერპლია - სიმდაბლე გულისა, სული შემუსვრილი. ღმერთი რისხვით განეშორება მსხვერპლისაგან, რომელიც თვითკმაყოფილებით არის მიტანილი. საკუთარ თავზე ამაყი აზრით გაჯერებული, თუნდაც ეს მსხვერპლი ყოვლადდასაწველი იყოს.[96]“

სიყვარულის მოხვეჭისთვის საჭირო სათნოებების დასახელების შემდეგ, ის მსჯელობას განაგრძობს სულიერ და ბუნებით სიყვარულს შორის სხვაობის შესახებ:

---

[94] არქიმანდრიტი თადეოზ (ვიტოვნიცელი), მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა, თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტრის, 2020, 65-66.
[95] წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი), ღმრთისადმი სიყვარულის შესახებ, წიგნში: რა არის მართლმადიდებლობა, თბილისი, 2001, <https://bit.ly/34EOzVU> [6.9.2020].
[96] იქვე.

„სიყვარულის სრულყოფილება ღმერთთან შეერთებაში მდგომარეობს; სიყვარულში წარმართებას თან ახლავს გამოუთქმელი ნუგეშისცემა, ტკბობა და განათლება. მაგრამ, მოღვაწეობის დასაწყისში სიყვარულის მოწაფემ უნდა გაუძლოს შეუპოვარ ბრძოლას თავის ბუნებასთან; ცოდვით დაცემის გამო ჩვენს ბუნებასთან დანათესავებული ბოროტება გახდა მისთვის კანონი. იგი აღაშფოთებს მას ღვთის კანონის წინააღმდეგ, სიყვარულის წმიდა კანონის წინააღმდეგ. ღმრთისადმი სიყვარული აღეშენება მოყვასისადმი სიყვარულზე. როდესაც შენში აღმოიფხვრება ძვირისხსენება, იცოდე ახლოს ხარ სიყვარულთან. როდესაც შენი გული გაბრწყინდება წმიდა, მადლიანი მშვიდობით მთელი კაცობრიობისადმი, მაშინ, უკვე მიწევნულხარ სიყვარულის კარიბჭეს. მაგრამ ეს კარიბჭე მხოლოდ სულიწმიდით განიღება. ღმრთისადმი სიყვარული არის მადლი ღმრთისა იმ ადამიანში, რომელმაც თავისი თავი ამ მადლის მისაღებად განამზადა გულის, გონების და სხეულის სიწმინდით. ამ განმზადების ხარისხის მიხედვით მივიღებთ ღმრთის მადლს: რადგანაც ღმერთი თავის მოწყალებაშიც კი მართლმსაჯულია. ღმრთისადმი სიყვარული სავსებით სულიერია: „შობილი იგი ხორცთაგან ხორცი არს; და შობილი იგი სულისაგან სული არს“ (იოან. 3,6). ბუნებრივ სიყვარულს, ხორცთაგან და სისხლისაგან შობილს, ნივთიერი ხრწნადი თვისებები აქვს. იგი არ არის მუდმივი, ცვალებადია, ამგვარი სიყვარულის სიმხურვალე სავსებით ნივთიერია. საღმრთო წერილიდან გესმა, რომ „ღმერთი ჩუენი ცეცხლ განმლეველ არს“ (ებრ. 12, 29), გესმა, რომ სიყვარულიც ცეცხლია, თუ გრძნობ შენში ბუნებით სიყვარულის სიმხურვალეს, ამის გაფიქრებაც არ გაბედო, თითქოს ეს ორი ცეცხლი ერთი და იგივე იყოს. არა! ეს ორი ცეცხლი ერთმანეთისადმი მტრულადაა განწყობილი და ერთი მეორეს აქრობს (იოანე კიბისაღმწერელი, მე-3 სიტყვა, მე-15 სიტყვა). „ვჰმსახურებთ სათნოდ ღმერთსა, მოშიშებითა და ღირსებითა. რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ განმლეველ არსა“ (ებრ. 12, 28-29). ბუნებითი სიყვარული - დაცემული სიყვარულია, რომელიც

ადამიანის სისხლს განახურვებს, აღაგზნებს ნერვებს, განაცხოველებს მეოცნებეობას; წმიდა სიყვარული ანელებს განხურვებულ სისხლს, ამშვიდებს სულსაც და ხორცსაც, წარიტაცებს შინაგან ადამიანს ლოცვითი სიმყუდროვისაკენ, სიმდაბლეში და სულიერი სიტკბოებაში შთაიყვანს და დაალტობს მას.[97]“

ტექსტში განმარტებულია სიყვარულის ბუნებითი და სულიერი სახეობა, რომელთა ნაყოფები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია (იოან. 3, 6). ქრისტეს მიერ აღსრულებული სიყვარული სცდება ბუნებითი სიყვარულის საზღვრებს და ქმნილ სამყაროში მარადიულობა შემოაქვს. პავლე ქრისტეს სახელით, ცოლ-ქმარს შორის სიყვარულის საფუძვლად სწორედ ასეთ სრულყოფილ სიყვარულს ადგენს.

მეხუთე თავის პირველ ნაწილში (ეფეს. 5:1-21) ის ასევე წერს, რომ ხორციელი ნუგეშის ნაცვლად ქრისტიანებმა სულიერი ნუგეში უნდა ეძებონ, ხოლო მეორე ნაწილში (ეფეს. 5:22-33) უშუალოდ ცოლქმრული ცხოვრების შესახებ საუბარზე გადადის, რომელიც ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს იკითხება.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთის განმარტების თემა არა ქალის მორჩილება, არამედ ცოლქმრის კავშირის ორმხრივობაა.[98] ის ურთიერთობა, რომელიც ქრისტესა და ეკლესიას შორის არსებობს, ქრისტესი, რომელიც სიყვარულით იქცევა მსხვერპლად და ეკლესიის, რომელიც ემორჩილება თავს, ანუ ქრისტეს.[99]

„ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს. რადგანაც ქმარია ცოლის თავი, ისევე, როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა და თვითონვეა სხეულის

---

[97] იქვე.
[98] კარავიდოპოლუსი ი., პავლე მოციქულის ეპისტოლეები, თ. მთვარელიძის თარგმანი, დეკ. მიქაელის (გალდავა) რეადაქტორობით, თბილისი, 2017, 160.
[99] იქვე.

მხსნელი. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს - ყველაფერში“ (ეფეს, 5:22-24).

მოციქული თვალნათლივ არღვევს მისი ეპოქისთვის დამახასიათებელ ჩარჩოებს, როდესაც ქალის მორჩილების პასუხად ქმრის ცოლისადმი სიყვარულს წარმოაჩენს ისეთ სიყვარულად, რომელიც მსხვერპლამდე შეიძლება მივიდეს ქრისტეს მაგალითის მიხედვით, რომელმაც ეკლესიისთვის საკუთარი ნებით გაიღო თავი მსხვერპლად.[100] ის ახალი საფუძველი, რომელზეც პავლე ცოლისა და ქმრის ურთიერთობას ამყარებს, გადმოცემულია 22-ე მუხლის სიტყვებში - „როგორც უფალს“, რაც სწორედ საფუძვლის შეცვლას გულისხმობს და ქალის მორჩილებას არა იმ საზოგადოების მოთხოვნებით ან სხვა სოციალური წარმოდგენით ხსნის, არამედ ღვთის ნებით, რომელსაც სულიერი დატვირთვა აქვს.[101] ირინეოს ლიონელი წერს, რომ ევას დაუმორჩილებლობის კვანძი მარიამის მორჩილებამ გახსნა. ის, რაც ქალწულმა ევამ შეკრა ურწმუნოებით, რწმენით გაათავისუფლა ქალწულმა მარიამმა.[102] სრულყოფილად სწორედ მან განახორციელა სრული მორჩილება სიყვარულში.[103] არა ცალკე მორჩილება და ცალკე სიყვარული, არამედ მთლიანობა ერთისა, როგორც მეორის სისავსე.[104] ცალკე აღებული მორჩილება შეიძლება არ იყოს სათნოება და იყოს ბრმა დაქვემდებარება. მხოლოდ ღმერთისადმი სიყვარული ათავისუფლებს მორჩილებას სიბრმავისა და შიშისგან და ღვთისადმი სიყვარული აქცევს მას თავისუფალ, სასიხარულო და შემოქმედებით სიყვარულად.[105] მეორე მხრივ, სიყვარული ღმრთის მორჩილების გარეშე ადვილად იქცევა „გულისთქმად ხორცთა და

---

[100] იქვე, 161.
[101] იქვე, 163.
[102] ჭელიძე ე., ირინეოს ლიონელის სწავლება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ, <https://bit.ly/34D8Aw5> [6.9.2020].
[103] პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (შმენანი), ცოცხალი რწმენის შესახებ, მე-2 გამოცემა, ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 253.
[104] იქვე.
[105] იქვე, 254.

გულისთქმად თუალთა და სილაღედ ამის ცხორებისა“ (1 იოანე, 2:16). მხოლოდ ღმერთისადმი, ქმნილების ერთადერთი უფლისადმი მორჩილება აძლევს სიყვარულს ჭეშმარიტ მიმართულებას და აღავსებს მას ღვთის სიყვარულით.[106] ამიტომ პოულობს მთელი ეკლესია, და არა მხოლოდ ქალები, ღვთისადმი თავისი პასუხისა და მორჩილების გამოხატულებას ყოვლადწმინდა მარიამში.[107] მარიამმა ინიციატივა არ გამოიჩინა. სიყვარულსა და მორჩილებაში იგი სხვის ინიციატივას ელოდა და როცა ეს ჟამი დადგა, მან ინიციატივა არა ბრმად, არამედ მთელი პატიოსნებით, სიხარულითა და მინდობით მიიღო.[108] სწორედ ასეთ, სარწმუნოებრივ მორჩილებაზე საუბრობს პავლე მოციქული, რომ ამ მორჩილებით შეინარჩუნონ ცოლ-ქმარმა მათ შორის არსებული შინაგანი სამოთხე და მასში ადგილი დაუთმონ ღმერთს. შესაქმის ანალოგიის საკითხს უფრო დეტალურად განვიხილავთ მომდევნო აბზაცებში. სიმბოლურია, რომ წმ. იუსტინე მარტვილი და წმ. ირინეოს ლიონელი ევას და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ერთმანეთს ადარებენ ისევე, როგორც პავლე მოციქული - ადამსა და იესო ქრისტეს.[109]

ამრიგად, მოციქულის მოწოდება ეფუძნება ღვთის ნებას და სრულიად დამოუკიდებელია საზოგადოებრივი წარმოდგენებისგან. 23-ე მუხლში რისი ხაზგასმაც სურს მოციქულს, არის, ერთი მხრივ, ცოლის ქმრისადმი მორჩილება ეკლესიის მაგალითით და, მეორე მხრივ, ქმრის ცოლისადმი სიყვარული - ქრისტეს მაგალითით. ამით ის კიდევ ერთხელ უსმევს ხაზს კავშირში სინერგიულობასა და ნებელობას. მაქსიმე აღმსარებელი წერს, რომ სიყვარული არის ნებელობითი სათნოება და არა ემოცია, ან გრძნობა. პირველ რიგში, ადამიანში ის არის ონტოლოგიური არჩევანი და ამის შემდეგ შეუდგება იგი

---

[106] იქვე.
[107] იქვე.
[108] იქვე, 255.
[109] ჭელიძე ე., ირინეოს ლიონელის სწავლება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ, <https://bit.ly/34D8Aw5> [6.9.2020].

გზას, რომელიც გამოიხატება მოქმედებაში, ღვაწლში, თავის გაღებასა და მიძღვნაში მეორე პიროვნებისადმი.[110]

„ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის, რათა სიწმიდით შეემოსა, მას შემდეგ, რაც გაწმინდა წყლის საბანელით და სიტყვით, და ამრიგად განემზადებინა იგი თავის დიდებულ ეკლესიად, ყოველგვარი ნაკლის, მანკის და სხვა მისთანათა გარეშე, არამედ რათა წმიდა და უმწიკვლო ყოფილიყო“ (ეფეს. 5:25-27)

მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით სიყვარული არის ქრისტეს მსხვერპლი, რომელიც ადამიანს მადლისმიერ ღმერთად აქცევს, თავად კი ჩვენი მსგავსი ადამიანი გახდა, რადგან არა მხოლოდ „ბუნების მიხედვით“, არამედ სულიერად გვიყვარდეს ერთმანეთი, ვზრუნავდეთ ერთმანეთისთვის საღვთოდ, ანუ უფრო მეტად, ვიდრე საკუთარ თავზე.[111] წმინდა მაქსიმე ადამიანთა შორის სიყვარულის დამტკიცებას განმარტავს, როგორც ნებელობით სიკვდილს სხვათათვის, რასაც მოითხოვს სათნოება: „არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრისთვის“ (იოან.15:13). ქრისტემ თავისი სიცოცხლე ადამიანთა ხსნისთვის შესწირა და თავისი სისხლით ყველას მისცა მასთან ზიარების შესაძლებლობა საღვთო ევქარისტიაში.[112] ამდენად, „ურთიერთას“ სიყვარულს ეკლესიის წიაღში ღრმა ონტოლოგიური შინაარსი აქვს იმ გაგებით, რომ ეს არის მორწმუნის შეერთება ქრისტეს სხეულში, ეს არის ევქარისტიული სიყვარული, ზიარების ესქატოლოგიური მომენტი.[113] ამიტომ იყო XV საუკუნემდე განუყოფლად დაკავშირებული ქორწინების საეკლესიო წესი ქრისტეს სხეულისა და სისხლის საიდუმლოებასთან: ან თვითონ წესი სრულდებოდა ევქარისტიული

---

[110] Преподобный Максим Исповедник. Главы о любви. М. : Сибирская благозвонница, 2013. 256.
[111] Преподобный Максим Исповедник, Мистагогия, Изд.: Рипол классик, 2018. Десять глав о добродетели и пороке. 212.
[112] იქვე.
[113] იქვე.

ლიტურგიის შემადგენლობაში, ან ახლადდაქორწინებულები ეზიარებოდნენ სიწმინდეს ჯვრისწერის შემდგომ[114] და ზიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, როცა ორივე მხარეს ესმოდა საიდუმლოება, როგორც მარადიული დაუნგრეველი კავშირი.[115] ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევქარისტია ქრისტიანული ქორწინების ცენტრია და ჭეშმარიტი სიყვარული მორწმუნისათვის სათნოებებსა და საღვთო ევქარისტიაში თანაზიარებითაა შესაძლებელი მას შემდეგ, რაც „განიწმენდს გონებას[116]“.

ქრისტეს მხვერპლი კაცს აძლევს ცოლისადმი სიყვარულის მაგალითს, რაც ცოლისთვის სიცოცხლის გაღებასაც გულისხმობს, თუმცა, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა - არის თუ არა ეს მოთხოვნა გადაჭარბებული ადამიანურ საზომებთან მიმათებაში. ქრისტეს მსხვერპლის მიზანი გაცხადებულია 26-27 მუხლებში, კერძოდ, ეკლესიის განწმენდის დებულებაში, რაც განსაზღვრავს ეკლესიის ნათლობით განწმენდის ნიშანს, მაგრამ ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ნათლობით. ეს ასევე ადამიანის მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში დაფიქსირებული ნებაა. საქმე მოციქულთაში პეტრე გულის განწმენდაზე საუბრობს: „ამრიგად, რწმენით რომ გაწმინდა მათი გულები, არაფრით განვუსხვავებივართ ერთმანეთისგან“ (საქმ. 15:9). ამ მონაკვეთში პეტრე წარმართთა წინადაცვეთის საკითხის არ ამართლებს და ამბობს, რომ ღვთისთვის განწმენდა არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთჯერადი აქტით, არამედ ის გულისმიერი მდგომარეობაა. გულის განწმენდას მართლმადიდებლურ თეოლოგიაში ასკეზას[117] უწოდებენ.

---

[114] პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020]
[115] იქვე.
[116] ბარნოვი გ, "სათნოების ცნება წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სწავლებაში". ჟურნ. "გული გონიერი", #17, 2017, 116-117.
[117] პეტროზილო პიერო, ქრისტიანობის ლექსიკონი, მ. სააკაშვილის თარგმანი, მ. ღაღანიძის რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011, 27.

ასკეზა არ არის ცხოვრება გამოქვაბულში, ან მუდმივი მარხვა, არამედ ეს არის პირველ რიგში მოყვასის ინტერესების გათვალისწინების უნარი და ლოცვითი პრაქტიკა, რომლებიც უნდა რეალიზდეს ევქარისტიულ ცხოვრებაში.[118] ქრისტიანული ასკეზა ადამიანის ნებაყოფლობითი ღვაწლია, რომელიც მიზნად ღვთიური მადლის მოხვეჭას ისახავს. სწორედ ეს მადლი ეხმარება მას შინაგან გარდაქმნასა და შეცვლაში. ეს არის ღვთიური და ადამიანური ნების სინერგია, რომელიც ქრისტიანული ასკეტიკის ფუნდამენტური პრინციპია.[119]

წმინდა მამების მოძღვრების თანახმად, ასკეტური ძალისხმევა ადამიანს თავისთავად არ მიიყვანს შინაგან სრულყოფილებამდე. ფიზიკური თუ გონებრივი ღვაწლით პიროვნება ადასტურებს თავის გულმოდგინებას ხსნის სურვილის საქმეში, ამიტომაც, ყველა ასკეტურ მცდელობას შეიძლება არ ჰქონდეს სწორი შინაგანი მოტივი. მხოლოდ საღვთო მადლს შეუძლია შინარჩუნოს, გარდაქმნას, განკურნოს და განაახლოს ადამიანის გული[120].

თეოფანე დაყუდებული ხაზს უსვამს იმას, რომ ყველა ადამიანის ღვაწლი, იქნება ეს მარხვა, შრომა, სიფხიზლე, განმარტოება, წუთისოფლისგან თავის დაღწევა თუ წმიდა წერილის წაკითხვა, თავისთავად დარჩება მხოლოდ უბრალო მოქმედებად, თუ მასში ღვთიურ მადლი არ დაივანებს.[121] "შეუდგები რა მოღვაწეობას, ნუ შეაჩერებ მასზე შენს ყურადღებასა და გულს, - გვასწავლის წმ. თეოფანე - არამედ მიუშვი ის თავის გზაზე, გახსენი საკუთარი თავი მადლისთვის, როგორც განმზადებული ჭურჭელი, რომელიც აღვსებულია ღვთისადმი ბოლომდე მინდობით[122]". ადამიანის სულში მყოფი მადლი თავს ავლენს ყოველი სულიერი სათნოებისადმი თანამოქმედებაში, ღვთისადმი და

---

[118] Православная энциклопедия, Аскетизм, <https://azbyka.ru/asketizm-askeza-> [6.9.2020].
[119] იქვე.
[120] იქვე.
[121] იქვე.
[122] იქვე.

მოყვასისადმი სიყვარულში, სახარებისეული მცნებების აღსრულების ძლიერ უნარში. მადლის მოხვეჭა ღმერთთან ცოცხალი ურთიერთობაა.[123] ეს არის თავად ღმერთის დავანება ადამიანში - "ადამიანის სულის ძიების საბოლოო მიზანი" (წმ. იოანე კიბის აღმწერელი)[124].

ეკლესიის ამოცანაა ნათლობით განახლდეს და შეიქმნას წმინდა, უბიწო, უბრალო და უმანკო. ცოლქმრული სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, სულიერი სიყვარული უნდა იყოს და საღვთო მიზანი ჰქონდეს, როგორც ქრისტემ მის ეკლესიაში შემსვლელნი ყოველგვარი სიბილწისა და უწმინდურებისაგან განწმინდა, ასე უნდა ზრუნავდნენ ქმრები თავიანთი ცოლების სიწმინდესა და სულების ცხონებაზე[125]. ამრიგად, ცოლქმრული ურთიერთობა არ არის სტატიკური მოცემულობა, რომელიც აღესრულა ჯვრისწერის საიდუმლოს დროს და აქ გაჩერდა, არამედ ესაა მუდმივად საკუთარ თავზე მუშაობა, განახლება და ღმერთთან ცოცხალი, სინერგიული ურთიერთობა ლოცვითა და ევქარისტიით. მხოლოდ ადამიანს საკუთარი ქმნილი ბუნებით არ შეუძლია ურთიერთობაში სიყვარულის შენარჩუნება. ასკეზა, რომელსაც საკუთარი ეგოისტური „მეს"-გან განდგომამდე და მორჩილებამდე მიჰყავს ადამიანი, არის არა ინდივიდუალური, არამედ საეკლესიო და გულისხმობს ნათლობისა და ევქარისტიის საიდუმლოზე დაფუძნებულ ცხოვრებას[126]. ალექსანდრე ხომიაკოვმა ეს ასე გამოხატა: „მარტო ვერავინ ცხონდება. ცხონდება ის, ვინც ცხონდება ეკლესიაში, როგორც მისი წევრი ყველა სხვა წევრთან ერთად[127]".

---

[123] წმინდა იოანე სინელი, კლემაქსი ანუ კიბე, მე-2 გამოცემა, ტ. ცომაიას თარგმანი, ნ. ხურცილავას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 292.
[124] იქვე, 302.
[125] იქვე.
[126] კლემანი ო., პიროვნებები თანაზიარებაში, ზ. ჯაშის თარგმანი, <https://bit.ly/3drv86T> [3.9.2020].
[127] იქვე.

„ქმრებს ისე უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეული; ვისაც ცოლი უყვარს, თავისი თავი უყვარს. ვინაიდან არავის არასოდეს მოსძულებია თავისი ხორცი, არამედ ისე უვლის და ასაზრდოებს, როგორც უფალი - ეკლესიას. რადგანაც მისი სხეულის ასოები ვართ, მისი ხორცთაგანნი და მისი ძვალთაგანნი. ამიტომაც მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას, მიეკვრის თავის ცოლს და იქნებიან ორივენი ერთ ხორც“ (ეფეს. 5:28:31).

28-ე მუხლში სხეულს აქვს ეთიკურად ნეიტრალური მნიშვნელობა[128]. კაცს ცოლი უნდა უყვარდეს როგორც საკუთარი ნაწილი, ისევე, როგორც ქრისტეს სხეულს წარმოადგენენ მორწმუნეები.[129] მართლმადიდებლურ ეკლესიაში, ცოლ-ქმარს შორის ყველაზე უვნებელ წყვილად წმიდა იოაკიმე და ანა მოიაზრებიან.[130] ბერი პაისი მთაწმინდელის განმარტებით, მათი გონება წმინდად იყო დაცული და საერთოდ არ არსებობდა „ამა სოფლის სიბრძნე“[131]. ღმერთმა ამგვარი ქალწულებრივობით შექმნა ადამიანი და სურდა, რომ ამგვარადვე - უვნებლად დაბადებულიყვნენ ისინი. ცოდვით დაცემის შემდეგ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში გაჩნდა ვნება და ამის შემდეგ მხოლოდ იოაკიმე და ანა მოიაზრებიან უვნებო ცოლ-ქმრად[132], რომელთაგანაც იშვა ღვთისმშობელი, რომელშიც შემდეგ თავად ქრისტე განხორციელდა[133]. ის ფაქტი, რომ ადამიანმა ოჯახური ცხოვრების გზა აირჩია, არ ამართლებს, თუკი დაივიწყებს, რომ კაცი მხოლოდ ხორცი კი არა, სულიცაა[134]. მეუღლეებმა უნდა აიღონ ღვაწლი, რომ ხორცი სულს დაუმორჩილონ. თუკი ისინი სულიერად ცხოვრებას ცდილობენ, თანდათანობით გემოს გაუგებენ იმ სიხარულს,

---

[128] მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი), წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, ე. ეკალაძისა და ვ. ჩხიკვაძის თარგმანი, თბილისი, 2010, 145.
[129] იქვე.
[130] მამა პაისი მთაწმინდელი, სიტყვები, წიგნი IV, ოჯახური ცხოვრება, თბილისი, 2011, 52
[131] იქვე.
[132] იქვე.
[133] იქვე,
[134] იქვე, 53.

რომელიც სულიერი და ზეციურია. ამის შემდეგ მათში ხორციელი სიხარულისაკენ ლტოლვა განელდება[135].

ქორწინება, როგორც შეხვედრის საიდუმლო, ხდება მაშინ, როცა თითოეული მათგანი ცნობს მეორეში თავის თავს და ამავდროულად ხედავს მეორეს[136]. როცა ორი ადამინი იწყებს ერთმანეთის შეცნობას სულიერ სიღრმეებში, ერთმანეთში ხედავენ თავიანთ მთლიანობას და მათ ეს მხოლოდ ერთმანეთთან შეიძლება ჰქონდეთ[137]. ეს არის საიდუმლო, რადგან ის გაყოფა, რაც ცოდვით მოხდა, გარკვეულწილად მთლიანდება. ქრისტეში, სულიწმიდის მადლით, ისინი ხდებიან ერთხორც, ერთარსად და, ამავე დროს, რჩებიან ერთადერთ და განუმეორებელ პიროვნებებად. ქორწინებაში ამით გადაილახება გაყოფის უკანასკნელი ზღვარი. ეს არის მოკრძალებული და ერთმანეთისთვის თავგანწირული, სიყვარულის საიდუმლოს შეცნობა.[138]

გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „ჩვენ ერთმანეთისთვის ხელნი, ყურნი, ფერხნი ქორწინების წყალობით ვართ. ქორწინება აორმაგებს ჩვენს ძალებს, რაც ასე ახარებს ჩვენს მეგობრებს. საზრუნავის განაწილება საზრუნავს გვიმსუბუქებს, ერთობლივი სიხარული აღმატებული ხდება. ქორწინება - შეუმუსრავი ბეჭედია სიყვარულისა. სიყვარულით ერთხორც და ერთსულ ერთობა რწმენას ამახვილებს, რამეთუ ქორწინება კი არ განგვაშორებს, არამედ გვაახლოვებს ღმერთთან[139]“.

ხოლო, თეოდორიტესი ამბობს[140], რომ ქორწინებით კაცი და ქალი ისე მთლიანდებიან ქრისტეში, რომ ის შეიძლება შევადაროთ ქრისტესა და

---

[135] იქვე, 54.
[136] მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), ქორწინებისა და აღზრდის შესახებ, წიგნში: საფეხურები, თბილისი, 2000, <https://bit.ly/3iIg6dR> [8.9.2020].
[137] იქვე.
[138] იქვე.
[139] Григорий Богослов, свт. Похвала девству, 224-304 // Творения. СПб., 1912, 138-140.
[140] მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი), წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, ე. ეკალაძისა და ვ. ჩხიკვაძის თარგმანი, თბილისი, 2010, 146.

მორწმუნე ადამიანის ერთობას, როცა ისინი ეზიარებიან ქრისტეს სისხლსა და ხორცს[141].

„დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტესა და ეკლესიაზე. ასევე ყოველ თქვენგანსაც თავისი თავივით უყვარდეს ცოლი, ხოლო ცოლს ეშინოდეს ქმრისა“ (ეფეს. 5:32-33).

საღვთისმეტყველო აზრით „საიდუმლო“ არის ადამინისთვის ისეთი გამოცდილება, რომელიც მისი ადამინური შესაძლებლობების ფარგლებს სცდება. ისეთი რამ, რაც ზუსტად ვერ იხსნება ცნობიერებით, რადგან ფესვები ღვთის უსასრულობაში აქვს გადგმული[142].

32-ე მუხლში საიდუმლოს, რომელსაც მოციქული დიდს უწოდებს, იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ვხვდებით ქალისა და კაცის ურთიერთობის შედარებას ქრისტესა და ეკლესიის კავშირთან. იოანე ოქროპირის მიხედვით, ეს საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტემ დატოვა მამა, ჩამოვიდა სძალ ეკლესიაში და მასთან ერთსულ იქცა[143]. მსგავსი თვალსაზრისი აქვს იკუმენიოსსაც: “რას ნიშნავს დიდ? იმას რომ ქრისტემ საკუთარ დიდებაში მყოფმა დაიმდაბლა თავისი თავი, განკაცდა, რათა შეერთებოდა ეკლესიას და ორნი ერთსულ იქცნენ[144]“. ყოველ “ცალკეულ” საიუდმლოებას მხოლოდ ქრისტეს სხეულის სისავსეში – ეკლესიაში ენიჭება საზრისი: ნათლობა არის ეკლესიაში შესვლა, მირონცხება - პიროვნების სულიწმიდის სიცოცხლეში ჩართვა, მღვდლობა - ეკლესიის სხეულის ჭვრეტა და მის ერთიანობაზე პასუხისმგებლობა, ზეთის კურთხევა “ახალ ადამს”

---

[141] მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), ქორწინებისა და აღზრდის შესახებ, წიგნში: საფეხურები, თბილისი, 2000, <https://bit.ly/3iIg6dR> [8.9.2020].

[142] ეპისკოპოსი კალისტე (უეარი), რა არის ღვთისმეტყველება, ე. მიქელაძის თარგმანი, <https://bit.ly/34TwQtZ> [7.9.2020].

[143] წმ. იოანე ოქროპირი, სწავლანი, ნ. ბელთაძის თარგმანი, წიგნში: ბჭე სიწმინდისა, თბილისი, 2008, 245.

[144] კარავიდოპოლუსი ი., პავლე მოციქულის ეპისტოლეები, თ. მთვარელიძის თარგმანი, დეკ. მიქაელის (გალდავა) რეადაქტორობით, თბილისი, 2017, 163.

აზიარებს ახალ ცხოვრებას, სადაც აღარაა ავადმყოფობა და სიკვდილი, მაგრამ ყველა ეს ცალკეული საიდუმლოება ევქარისტიაშია გაერთიანებული, ანუ თვითონ ეკლესიის საიდუმლოში, რომელშიც ეკლესია მართლაც იქცევა ქრისტეს სხეულად[145]. ქრისტეს სხეულისა და ეკლესიის მიღმა არ არსებობს საიდუმლოება[146]. ქორწინების, როგორც საიდუმლოების საზრისიც, ისევ და ისევ, ევქარისტიულ კონტექსტში მოიცვება[147]. ქორწინების იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და საზოგადოებრივ მხარეს ქრისტეში სხვა, უმაღლესი საზრისი აქვს, რამდენადაც ისინი ქრისტეს სხეულის ორ წევრს აერთიანებენ[148].

პავლე მოციქული მცირე საიდუმლოდან, ანუ შესაქმისეული ცოლქმრული კავშირიდან გადადის ქრისტესა და ეკლესიის კავშირის დიდ საიდუმლოებაზე, მაგრამ პირიქითაც - ქრისტესა და ეკლესიის კავშირის მოდელიდან მიდის ცოლქმრული კავშირის მოძღვრებაზე. უმაღლესი ღვთისმეტყველებიდან გადადის პრაქტიკაზე. მისი მოძღვრება მიზნად ისახავს სინამდვილის ახსნასა და განმარტებას. ამგვარად 33-ე მუხლში მოციქული გვთავაზობს დასკვნას, რომელიც მეუღლეთა შორის ვალდებულებათა ორმხრივობას გულისხმობს. სიტყვები, რომლითაც აღნიშნული მონაკვეთი მთავრდება, გულისხმობს, ერთი მხრივ, კაცისადმი მოწოდებას - უყვარდეს ცოლი ისე, როგორც საკუთარი თავი და მეორე მხრივ - ქალისადმი მოწოდებას, რომ „ეშინოდეს ქმრისა“[149]. გამოთქმა: ცოლს ეშინოდეს ქმრისა, რა თქმა უნდა, ხატოვანი გამოთქმაა და არ ნიშნავს ქმრის წინაშე ცოლის მონურ შიშს, ეს ქრისტიანულ ქორწინებაში არ ხდება[150]. ეს შიში სხვა არაფერია, თუ არა ქმრისადმი პატივისცემა იმის შიშით, რომ არ შემცირდეს ერთმანეთისადმი სიყვარული. ნეტარი იერონიმე ამ

---

[145] პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020]
[146] იქვე.
[147] იქვე.
[148] იქვე.
[149] კარავიდოპოლუსი ი., პავლე მოციქულის ეპისტოლეები, თ. მთვარელიძის თარგმანი, დეკ. მიქაელის (გალდავა) რეადაქტორობით, თბილისი, 2017, 164-165.
[150] იქვე.

ადგილს ასე თარგმნის: „ცოლმა, დაე, პატივი მიაგოს ქმარს“[151]. თეოფილაქტეც იმავეს წერს, რომ შიშში აქ მოწიწება და რიდი იგულისხმება ისეთი, როგორიც თავისუფალ ადამიანებს შეეფერებათ და არა მონებს. ამგვარი შიშისგან ყალიბდება სიყვარული და იგი აყალიბებს მერე შიშსაც, ერთმანეთის დაკარგვის შიშს[152].

გარდა ამისა, ფრაზაში იგულისხმება ქრისტეს შიშიც, რითიც იწყება მთელი მონაკვეთი - „ქრისტეს შიშით ჰმორჩილებდეთ ერთმანეთს..“. ეს ნიშნავს, რომ მეუღლეები უნდა უფრთხილდებოდნენ მათ ურთიერთობაში ქრისტეს მკვიდრობას და ეშინოდეთ, ეკრძალვოდნენ მის დაკარგვას[153].

მე-20 საუკუნის ბერძენი ღვთისმეტყველი, ქრისტოს იანარასი წერს: „მხოლოდ მაშინ, როცა სხვა სქესის პირისადმი სიყვარულს ადამიანი თავდავიწყებამდე, საკუთარი ინდივიდუალიზმის დავიწყებამდე მიჰყავს, მხოლოდ მაშინ იხსნება ადამიანის წინაშე შესაძლებლობა უპასუხოს ღვთისაგან მისკენ მიმართულ მოწოდებას. აი, რატომაა მეუღლეობრივი სიყვარული სახე ქრისტესა და მის ეკლესიას შორის არსებული ჯვარსახოვანი სიყვარულისა, რომელიც სიცოცხლის სიყვარულითა და თავგანწირვით რეალიზებისათვის ნებით მოაკვდინებს ბუნებით შემოსაზღვრულობასა და ინდივიდუალიზმს[154]“.

მეუღლეთა შორის სინერგიული კავშირის, რომელსაც ქრისტოლოგიური საფუძველი აქვს, ასეთ ვრცელ და ღრმა თეოლოგიურ დასაბუთებას ახალი აღთქმის სხვა ვერც ერთ ტექსტში ვერ ვხვდებით.

---

[151] მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი), წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, ე. ეკალაძისა და ვ. ჩხიკვაძის თარგმანი, თბილისი, 2010, 147-148.

[152] Архиепископ Феофилакт Болгарский, Толкование на послание к Ефесянам святого апостола Павла, https://bit.ly/2SE3fz1 [5.9.2020].

[153] კარავიდოპოლუსი ი., პავლე მოციქულის ეპისტოლეები, თ. მთვარელიძის თარგმანი, დეკ. მიქაელის (გალდავა) რედაქტორობით, თბილისი, 2017, 167-168.

[154] Христос Яннарас, Вера Церкви. Введение в православное богословие, Человек, https://bit.ly/3iNiwrP [5.9.2020].

თავი III.თვისებრივი კვლევის ანალიზი

ლიტერატურული მიმოხილვის ნაწილში საუბარი იყო პავლე მოციქულის ეფესელთა (5:22-33) მიმართ ეპისტოლეზე, სადაც გავაანალიზეთ მეუღლეთა შორის სინერგიული კავშირი, რომელსაც ქრისტოლოგიური საფუძველი აქვს. აღნიშნული მონაკვეთის თანახმად გამოვყავით ქრისტიანული ქორწინების ძირითადი სათნოებები:

1. **თავგანწირვა და მორჩილება:** სიყვარული გულისხმობს თავგანწირვას. ქმარს უნდა უყვარდეს მეუღლე ისევე, როგორც ქრისტეს უყვარს ეკლესია და თავი გასწირა მისთვის. ასეთ ურთიერთობაში დაუშვებელია ეგოისტური სიყვარული. ქრისტეს უყვარდა ეკლესია არა იმიტომ, რომ ეკლესია მის საკეთილდღეოდ ბევრ საქმეს ასრულებდა, არამედ იმიტომ, რომ თვითონ მან გაიღო უამრავი რამ ეკლესიისთვის. პავლე ამბობს, რომ ქმარს უნდა უყვარდეს ცოლი ისეთი სიყვარულით, რომელიც არ მოითხოვს მისგან მონურ მორჩილებას, მაგრამ მზად არის გაიღოს ნებისმიერი მსხვერპლი იმისთვის, რომ დაიმსახუროს მისი სიყვარული, კეთილგანწყობა და კრძალვა.

2. **განწმენდა:** ქრისტემ განწმინდა და გაასხივოსნა ეკლესია. ამ შემთხვევაში, პავლე მოციქული გულისხმობს არა მარტო მონათვლას იესო ქრისტეს სახელით, არამედ გულის განწმენდას საღვთო მადლის მისაღებად, რომელიც შინაგანად გარდაქმნის ადამიანს. ისეთი სიყვარული, რომელიც ადამიანს პიროვნულად არ ზრდის, ან უარყოფითად აისახება მის ხასიათზე, ნაცვლად იმისა, რომ გააკეთილშობილოს, ან სიყვარული, რომელიც ადამიანს ტყუილისკენ უბიძგებს და ასუსტებს მის მორალურ საფუძველს, არ არის ნამდვილი სიყვარული. ჭეშმარიტი სიყვარული არის ცხოვრების უდიდესი განწმენდის გზა.

3. **ობიექტიური სიყვარული:** ასეთი სიყვარული მზრუნველობაზეა დაფუძნებული. ქმარს უნდა უყვარდეს მეუღლე, როგორც საკუთარი ნაწილი, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული არ არის ორიენტირებული სარგებლის მოპოვებისკენ ან ხორციელი სიამოვნების მიღებისკენ. იგი ეფუძნება საყვარელი ადამიანის პატივისცემას.

4. **ერთსულ და ერთხორც:** მხოლოდ მტკიცე გრძნობის შემთხვევაში არის შესაძლებელი, რომ პიროვნება გამოეყოს თავის მშობლებს და თავის მეუღლესთან იპოვოს ჰარმონია, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ გახდნენ სულით და ხორცით ერთნი. ასეთი სიყვარულის შემთხვევაში, მეუღლის მიტოვება ისევე შეუძლებელი ხდება, როგორც საკუთარი სხეულის დანაწევრება.

5. **სამნი როგორც ერთი:** ყველა ეს ურთიერთობა აღესრულება ღმერთის წიაღში. ქრისტიანულ ოჯახში იესო ქრისტე უხილავი და ამასთანავე განუყოფელი ნაწილია. ქრისტიანულ ქორწინებაში მხოლოდ ორნი კი არ არიან, არამედ სამნი და მესამე იესო ქრისტეა[155]: „რადგან სადაც ორი თუ სამი შეიყრება ჩემი სახელით, მეც იქვე ვარ, მათ შორის“ (მათ. 18:20).

აღნიშნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით შევადგინეთ კითხვარი, რომელიც მივაწოდეთ ჩვენს რესპოდენტებს, რათა დაგვედგინა შესაბამისობა პავლე მოციქულის თეორიულ საფუძვლებსა და თანამედროვე ქართველი სამრევლოების გაგებას შორის. ასევე, ადამიანის დაცემული ბუნებიდან გამომდინარე, გვსურდა გაგვერკვია ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც აწყდება ცოლ-ქმარი ერთმანეთთან ურთიერთობაში. კვლევისთვის სპიეციალურად შეირჩა ისეთი სამრევლოები, რომლებიც ახალგაზრდებში პოპულარულობითა და სანდოობით სარგებლობენ.

---

[155] БАРКЛИ У., ПОСЛАНИЕ К ЕФЕСЯНАМ, <http://yakov.works/library/02_b/ar/clay_efes.htm> [6.9.2020].

ჰიპოთეზა ძირითად შემთხვევაში (18/28) გამართლდა, რაც გულისმობს იმას, რომ რესპონდენტთა პრაქტიკულ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქრისტიანული მოძღვრება.

კვლევაში მონაწილეობა სულ 28 რესპოდენტმა მიიღო, რომელთაგანაც 10 - მამაკაცი, ხოლო 18 ქალბატონია. აქედან, 11 ადამიანი ფანასკერტელის ქუჩაზე მდებარე ჯვართამაღლების ტაძრის მრევლი; 6 ადამიანი - საბურთალოს წმ. გიორგის სახელობის ტაძრის; 3 - ჭავჭავაძის გამძირზე მდებარე მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძრის; 5 - მთაწმინდის წმ. დავით გარეჯელის სახელობის ტაძრის და დანარჩენი 3 კი თბილისის სხვატაძართა მრევლია.

თეორიულ მიმოხილვაში ითქვა ევქარისტიის ცენტრალური დანიშნულების შესახებ ქრისტიანულ ქორწინებაში. კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუ რა სიხშირით მონაწილეობენ რესპოდენტები ევქარისტიულ მსახურებაში, რათა შემდგომ ერთგვარი დასკვნა გამოგვეტანა მათი ევქარისტიული ცხოვრების ნაყოფებზე პირად ურთიერთობებსა და სარწმუნოებრივ გამოცდილებაში. გამოკითხულთა უმრავლესობა, 12 ადამიანი, ევქარისტიულ მსახურებაში მონაწილეობას იღებს ყოველ კვირა; 6 ადამიანი კვირაში რამდენიმე დღე; 4 ადამიანი - თვეში ერთხელ; 4 ადამინი სხვადასხვა მიზეზთა გამო ინტესნიურად ვერ ეზიარება; ხოლო 2 ადამიანი ესწრება, მაგრამ არ ეზიარება.

ქრისტიანული ოჯახის გენეზისის თავში, ვისაუბრეთ ძველი და ახალი აღთქმის დამოკიდებულებაზე შვილიერების საკითხთან. იმისათვის, რომ გაგვეგო, რა როლი აქვს შვილს მეუღლეთა პიროვნულ ურთოერთობაში მათ ვკითხეთ: წარმოადგენდა თუ არა აუცილებლობას შვილის ყოლა.



გარდა ამისა, გვსურდა დაგვედგინა მათი პიროვნული კავშირის სიმჭიდროვე და ვკითხეთ, თუ ვის მიმართავენ ისინი, პირველ რიგში, გადაწყვეტილებების მიღებასა და განსაცდელების დროს:





კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად აქვთ რესპოდენტებს გააზრებული ჯვრისწერის საკრამენტულობა. ამიტომ, სადისკუსიო გეგმაში ჩავრთეთ კითხვა, თუ რა განსხვავებას ხედავენ ისინი ქრისტიანულ ჯვრისწერასა და სამოქალაქო ქორწინებას შორის. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა ჯვრისწერას ბევრად აღმატებულად მიიჩნევს, ვიდრე სამოქალაქო ქორწინებას, რადგან ჯვრისწერის მიზანი ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობის გააზრება და მისკენ სწრაფვაა მეორე ნახევართან ერთად.

- **რესპოდენტი ნ (მდედრ.):** „ქრისტიანული ჯვრისწერა მიზნად ისახავს ადამიანად მოსულ ღმერთთან და საკუთარ მეუღლესთან პიროვნული ურთიერთობის რეალიზებას, ხოლო სამოქალაქო ქორწინება, როგორც აქტი, თავის შინაარსში არ ატარებს რელიგიურ საზრისსა და მიზანს“.

- **რესპოდენტი ს (მამრ.):** „ქრისტიანული ჯვრისწერა აღმატებულია სამოქალაქო ქორწინებაზე, თუმცა, მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებაში მყოფი ქალისა და მამაკაცის ერთობაც ღვთის მიერ აღქმულია, როგორც

ცოლ-ქმრობა (ოჯახი). ქრისტიანული ჯვრისწერა უფრო მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს ცოლ-ქმარს. თუ სამოქალაქო ქორწინებაში მყოფი წყვილი მხოლოდ კონსტიტუციის წინაშეა პასუხისმგებელი, ქრისტიანული ჯვრისწერის შემთხვევაში, ცოლ-ქმარი ღვთისა და, შესაბამისად, მისი მცნებების წინაშეც იღებს პასუხისმგებლობას. ისინი სთხოვენ უფალს შემწეობას მათ ოჯახურ გზაზე და დებენ აღთქმას მათი ოჯახის დაურღვევლობაზე. ჩემი აზრით, წყვილის მიერ სამოქალაქო ქორწინებაში ყოფნა, მართალია, ზნეობრივი, თუმცა, მაინც ერთჯერადი, მხოლოდ კანონის წინაშე განხორციელებული აქტია. ხოლო ქრისტიანული ჯვრისწერის შემთხვევაში, ეს ახალი პროცესის დასაწყისია, რომლის მიზანიც, საბოლოო ჯამში, ღმერთის წიაღში ერთობით დამკვიდრებაა. ჩემი ამგვარი პოზიციით არანაირად არ ვაკნინებ სამოქალაქო ქორწინებას და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი და ზნეობრივი ნაბიჯია, რომელსაც ადამიანი დგამს, მაგრამ ქრისტიანულ ჯვრისწერას უფრო დიდ ღირსებას ვანიჭებ. ამავდროულად, მიმაჩნია, რომ რამდენადაც აღმატებულია ქრისტიანული ჯვრისწერა, იმდენად არ ღირს მისდამი ზერელე დამოკიდებულება და ჯვრისწერის დროს წყვილი სრულიად უნდა აცნობიერებდეს მის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯსა და აღებულ პასუხისმგებლობას.“

როგორც უკვე ითქვა, სარწმუნოებრივი მორჩილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სათნოებაა ცოლქმრობაში, რომლითაც ცოლი უნდა პასუხობდეს ქმრის სიყვარულს. იმისათვის, რომ რესპოდენტთა პასუხი მიკერძოებული არ ყოფილიყო, ჯერ ვკითხეთ, თუ როგორი იყო მათი შეხედულება ზოგადად მორჩილების შესახებ, შემდეგ კი - თუ რაში გამოიხატებოდა ცოლის მორჩილება ქმრის მიმართ. უმრავლესობის პასუხი, ორივე შემთხვევაში, ერთმანეთთან გადაიკვეთა. ისინი ფიქრობენ, რომ მორჩილება ნიშნავს არა მონობას, არამედ შენს ნებას ემსახურო მეუღლეს.

ასევე, რესპოდენთა უმრავლესობა, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, ცოლქმრობაში ორმხრივი მორჩილების აუცილებლობას ასახელებენ.

- **რესპოდენტი ა (მდედრ.)** - „ის, ჩემი აზრით, ჭეშმარიტი სიყვარულით და ერთმანეთის უძლურებების დატევით ისწავლება...“.
- **რესპოდენტი გ (მამრ.)** - „ქრისტიანული მორჩილება არის ისეთი მორჩილება, რომელიც თავისუფლებას არ ართმევს ადამიანს. უფრო სწორედ, შეიძლება ადამიანს იმის გაკეთება უწევდეს, რაც არ უნდა ან არ მოსწონს, მაგრამ ამას აკეთებს სიყვარულით, ან მინიმუმ, არა შიშის გრძნობით, რომ დაისჯება. სხვა შემთხვევაში, ეს აღარ არის მორჩილება, არამედ მონობა“.
- **რესპოდენტი დ (მდედრ.)** - „რთულია მისი განმარტება მსგავს ფორმატში. ესაა გონიერი აღქმა ღვთის ნებელობისა ჩვენს ცხოვრებაში და მისი მნიშვნელობა თითქმის იმდენად დიდია, რამდენადაც სიყვარულისა“.
- **რესპოდენტი თ (მდედრ.)** - „ქრისტიანული მორჩილება არის ის, რომ ცოლიც და ქმარიც, პირველ რიგში, უნდა ემორჩილებოდეს ღმერთს, და მერე ერთმანეთს. ანუ თანხმობის გარეშე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის ცუდი შედეგით მთავრდება“.

პასუხები კითხვაზე, თუ რაში გამოიხატება ცოლის მორჩილება ქმრის მიმართ:

- **რესპოდენტი ე (მდედრ.)** - „ცოლის მორჩილება ქმრის მიმართ გამოიხატება მის სიყვარულში. მის მზაობაში, მუდამ მოემსახუროს თავის ქმარს. მაგრამ არა იმიტომ, რომ ასეა საჭირო, არამედ იმიტომ, რომ მას ის ისე უყვარს, რომ უნდა, სიკეთე გაუკეთოს“.

- **რესპოდენტი კ (მდედრ.)** - „ვფიქრობ, არ არსებობს ნამდვილ ქრისტიანულ ოჯახში ასეთი ცალმხრივი მორჩილება. ორივე მორჩილებენ ერთმანეთს სიყვარულით და პატივისცემით, იციან რა ერთმანეთის სუსტი და ძლიერი მხარეები და ენდობიან რა ერთმანეთს, რომ ამა თუ იმ სიტუაციაში ერთი მიენდობა და მორჩილებას გამოავლენს მეორის ნებისა თუ ხედვის მიმართ, სწორედ ამ ცოდნის და ნდობის გამოყენებით“.

იმისათვის, რომ დადგეენილიყო კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის, რესპოდენტებს ჯერ აზრი ვკითხეთ, თუ როგორ განმარტავდნენ სიტყვებს: **"რადგანაც ქმარია ცოლის თავი, ისევე, როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა და თვითონვეა სხეულის მხსნელი" (ეფეს. 5,23).** შემდეგ კი, გადავედით პრაქტიკული განხორციელების საკითხზე: თუ **როგორ ესმით მათ მეუღლისთვის საკუთარი თავის დადება და როგორ ახორციელებენ ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

რესპოდენთთა უმრავლესობა განმარტავს, რომ ეს სიტყვები მოიაზრებს ცოლის/ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობასა და თავგანწირულ სიყვარულს, ხოლო ამის პრაქტიკული გამოხატულება საკუთარი თავიდან ეგოიზმის მოკვეთა და მეუღლის ინტერესების გათვალისწინებაა.

- **რესპოდენტი გ (მამრ.)** - „ზუსტად იმას, რასაც პავლე მოციქული ამბობს. ვინც ქრისტეს ცხოვრება იცის, ისიც იცის, რომ მან თავი დადო ეკლესიისათვის, ანუ სამწყსოსთვის და ყველაფერი დაითმინა თვით სიკვდილამდე. ამხელა პასუხისმგებლობას ანიჭებს ამ სიტყვებით მოციქული მამაკაცს ოჯახის წინაშე, თავგანწირვასა და სიყვარულს“.

- **რესპოდენტი ო (მდედრ.)** - „ჩემი აზრით, ამ სიტყვებით მამაკაცს ეკისრება პასუხისმგებლობა, დაიცვას თავისი ოჯახი და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლეც გაიღოს მისთვის. ამ სიტყვებით მამაკაცს

პასუხისმგებლობა უფრო ენიჭება, ვიდრე პატივი, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელიც სწორია“.

- **რესპოდენტი კ (მდედრ.) -** „ქმარი თავია ოჯახის, ეს არ ნიშნავს მხოლოდ უფრო მეტ უფლებებს, ან იმის უფლებას, რომ დაიმონოს ქალი, არამედ მეტ პასუხისმგებლობას, რომ მის გვერდით მყოფი ქალი და შვილები სწორი გზით ატაროს, იყოს მათი საყრდენი რთულ მომენტებში“.

- **რესპოდენტი ს (მამრ.) -** „პასუხი, ვფიქრობ, უაღრესად მისტიკური და ვერბალურად გამოუთქმელია. მაგრამ ცოტათი მაინც შევეცდები ჩემი შეხედულება ჩამოვაყალიბო. ადამიანის სხეულში, ადამიანის თავსაც და სხეულსაც, ორივეს სასიცოცხლო ფუნქცია აკისრია. მათი მიზანიც საერთოა, მაგრამ თავი სხვა ინსტრუმენტია უბრალოდ და სხეული სხვა. ანუ ეს არის ერთი მიზნის მისაღწევი ორი სხვადასხვა ინსტრუმენტის ერთობა“.

პასუხები კითხვაზე, თუ როგორ ესმით მეუღლისთვის საკუთარი თავის დადება და როგორ ახორციელებენ ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში:

- **რესპოდენტი ა (მდედრ.) -** „ყოველ წვრილმანში ვლინდება.. ერთ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ. მშობიარობის დაწყების მომენტიდან არ მომშორებია, ყველაფერი ისევე განიცადა, როგორც მე, ეს მაშინ, როცა არ მქონია მარტივი მშობიარობა.. მან ჩემთან ერთად იმშობიარა, უბრალოდ ნაკერები არ დაუდიათ მისთვის.. ჩვენი პაწია რომ ჯანმრთელია მისი უდიდესი დამსახურებაა.. ზოგადად არაა ის ე.წ. მეუღლე მხოლოდ, ის მამაცაა, ძმაც, მაგობარი, რა თქმა უნდა, და ყველაფერი ჩემთვის.. და ეს ყოველ დღე ვლინდება.. რა თქმა უნდა, ყოველ დღეც ვუშვებთ შეცდომებს ბევრს, მაგრამ ამ ყველაფერზე ვსწავლობთ და ვიზრდებით“.

- **რესპოდენტი ბ (მამრ.) -** „მცდელობა სხვისთვის დავთმოთ რაღაც, თითქოს მსხვერპლია, მაგრამ ჩვენვე გვზრდის და გვათავისუფლებს

ეგოიზმისგან და პატივმოყვარეობისგან და გვეხმარება უკეთესები გავხდეთ“.

- **რესპოდენტი ე (მამრ.)** - „თავის დადება არ ნიშნავს მხოლოდ მსხვერპლად შეწირვას, თავის გაწირვას და ასე შემდეგ, ეს არის თუნდაც ის ფაქტი, რომ აცნობიერებდე მის სურვილებს, საჭიროებებს და ცდილობდე მათ დაკმაყოფილებას. ასევე ცოლიც უნდა იყოს თავდადებული ქმრისთვის და ოჯახისთვის“.

- **რესპოდენტი ი (მდედრ.)** - „საკუთარი თავის დადებაში ალბათ თავის უარყოფა იგულისხმება, ქალის ბუნებას ახასიათებს რაღაც მისწრაფებები, რის დაკმაყოფილებაც უნდა, ხოლო ოჯახური პასუხიხმგებლობები ხშირად ამის საშუალებას არ იძლევა და უწევს დათმობა, მაგრამ ამის საპირწონედ სიყვარული, სიხარული აქვს და ადვილია, ეს ყველაფერი დათმო სიყვარულისთვის“.

სადისკუსიო გეგმაში ასევე მოცემული გვქონდა კითხვა მონაკვეთზე, სადაც პავლე მოციქული საუბრობს ცოლის შიშზე. რესპოდენტებს ვთხოვეთ სრული ამონარიდის განმარტება: **„ყოველ თვენგანს უყვარდეს თავისი ცოლი საკუთარი თავივით. ცოლსაც ეშინოდეს ქმრისა" (ეფეს.5;32).** მათ თითქმის ერთსულოვნად დაფიქსირეს, რომ სიტყვა „შიში“ გამოყენებულია კრძალვისა და საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშის აღმნიშვნელად. ხოლო, ქმრის ცოლისადმი სიყვარული საკუთარი თავივით, განიმარტა იმით, რომ ქმრისთვის ცოლი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

- **რესპოდენტი ვ (მდედრ.)** - „ცოლს უნდა ეშინოდეს არა მეუღლის ფიზიკური ძალის, არამედ მისი გულის ტკენის, ნდობის, პატივისცემის და სიყვარულის დაკარგვის“.

- **რესპოდენტი ნ (მამრ.)** - „ალბათ, აქ ისეთივე შიშია ნაგულისხმევი, როგორც რუსთაველთან, შიში რომ შეიქმს სიყვარულს. ესაა დაკარგვის

შიში, ძვირფასთან განშორების, მისი გულისტკენის შიში. ქართულ ენაში, თითქოს შიში მხოლოდ საშინელი განცდის აღმნიშვნელია და მიჭირს სინონიმის მოძებნა, ერთგვარი სიფრთხილე, არ დააკნინო ,არ დაკარგო, ის რაც გიყვარს, გაუფრთხილდე. ასე მესმის, რადგან ქრისტიანობაში, ახალი აღთქმის წიგნში, აღარსადაა შიში იმ კონტექსტში გამოყენებული, როგორც, ვთქვათ, რაღაც თავზარდამცემი განცდა რაღაც დიადის წინაშე".

- **რესპოდენტი ს (მამრ.)** - „მაცხოვარი ახალი აღთქმის უმნიშვნელოვანეს მცნებად, როგორც ვიცით, გვისახავს მთელი ადამიანური რესურსით ღვთის სიყვარულს და ამის მსგავსად მოყვასის საკუთარი თავივით შეყვარებას. ეს მცნება ძველ აღთქმაშიც ხომ არსებოდა. გამომდინარე აქედან, ამ მცნების აღსრულების ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგს ქმრისთვის ცოლი წარმოადგენს. რაც შეეხება ცოლის მხრიდან ქმრის შიშს, აქ გავიხსენებდი ღვთისმოშიშების სათნოებას. რა თქმა უნდა, ღვთისმოშიშება არ გულისხობს ქრისტიანულ მოძღვრებაში მსაჯულის წინაშე ძრწოლას, არამედ გულისხმობს მოსიყვარულე ღმერთის სათნომყოფელობას. ასევე ვიტყოდი ცოლ-ქმრის შესახებაც. ისინი ერთმანეთის სათნოყოფას ესწრაფვიან პავლე მოციქულის სიტყვების თანახმად".

- **რესპოდენტი უ (მდედრ.)** - „ვინაიდან ცოლ-ქმარი არის ორი სულის გაერთიანება, ერთმანეთი უნდა უყვარდეთ საკუთარი თავებივით და მათ შორის უნდა იყოს კრძალვა, ერთმანეთის დაკარგვის შიში".

ლიტერატურულ მიმოხილვაში აღინიშნა, თუ რა დატვირთვა აქვს ქრისტიანობაში **„ერთხორცად"** ყოფნას და რას მოიაზრებს მისი ეგზისტენციალური განმარტება. ამიტომაც, რესპოდენტებს პირდაპირ ვთხოვეთ ამ მუხლის განმარტება. მათი აზრით, ეს არის სისავსის ეპითეტი,

რომელიც გულისხმობს ცოლქმრულ ურთიერთობაში სულიერ, ფსიქო-ემოციურ და ხორციელ ერთობას.

- **რესპოდენტი ა (მდედრ.)** - „ერთხორცობას აკლია ერთსულ ყოფნა, ცალკე აღებული, თითქოს კარგავს იმ სიღრმეს, რაც ნაგულისხმევია“.

- **რესპოდენტი ი (მამრ.)** - „ცოლ-ქმრის "ერთხორცად" და ერთარსებად ქცევა მესმის, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი შერწყმა. მეორე საკითხი კი ვფიქრობ იმის მანიშნებელია, რომ ცოლ-ქმრული კავშირი ყველაფერზე უპირატესია.“

- **რესპოდენტი რ (მდედრ.)** - „ცოლ-ქმარი ერთი არსებაა, აღარ არსებობს “შენი” და “ჩემი”, ან “შენიანი” და “ ჩემიანი”, არამედ - “ჩვენ” და “ჩვენი“.

- **რესპოდენტი პ (მამრ.)** - „ცოლქმრული შეერთებით ისინი ერხორცნი ხდებიან, ოღონდ ეს უფრო დიადის საფუძველზე, სულიერი ერთობის საფუძველზე ხდება. სიყვარულისა და საღვთო მადლის მეშვეობით ქრისტიანული ქორწინების პოტენციაში დევს ის, რომ ცოლ-ქმარი ძალიან ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან პიროვნულად, ანუ რამდენადაც მეტად ექნებათ ერთმანეთისადმი უანგარო მსახურების და თავგანწირვის მზაობა, იმდენად მეტად მიუახლოვდება და ეზიარება ერთი მეორეს და ეს დაუსრულებელია, რამდენადაც პიროვნება ღვთის ხატია და ამოუწურავი. ამ დროს ქრისტე მკვიდრდება ასეთი პიროვნებების ერთობაში და სასწაულებრივად კრავს მათ ერთობას, თითქოს ერთი სული ყოფილიყოს ორ სხეულში..“.

- **რესპოდენტი ქ (მდედრ.)** - „ცოლ-ქმრობაში მეუღლეები ერთმანეთს შეიმეცნებენ და ერთმანეთს ეზიარებიან ადამიანური შესაძლებლობებით სრულად. იგულისხმება სულიერი, ფსიქო-ემოციური და ხორციელი ბუნება. ასეთი ურთიერთობით კი

შესაძლებელი ხდება ისინი ღვთის ხატებიდან მსგავსებამდე ამაღლდნენ“.

- **რესპოდენტი ა (მდედრ.)** - „ზოგადად, სამების დოგმატს ყველაზე მარტივად ოჯახის ანალოგით ვიგებ.. ისევე ერთნი უნდა ვიყოთ, როგორც სამი ჰიპოსტასი ..“.

- **რესპოდენტი ტ (მამრ.)** - „ჯვრისწერამდე წყვილი არის ერთად და ჯვრისწერის შემდეგ - ერთი. ეს უდიდესი საიდუმლოა. ადამიანი, რომელიც შენთვის მანამდე უცხო იყო, შემდეგ ხდებით ერთნი. ერთი სისხლი და ხორცი“.

თეორიულ საფუძვლებში აღინიშნა, რომ ცოლქმრულ ურთიერთობაში ყველაზე მეტად საკუთარი თავის გაღებაში მეუღლეებს ხელს ეგოიზმი უშლით. ამიტომაც, მათ პირდაპირ ვკითხეთ, თუ რამდენად ხშირად აწყდებიან ისინი მას ერთმანეთთან ურთიერთობაში. 28 რესპოდენტიდან 26 ეგოიზმს მთავარ და მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებს.

- **რესპოდენტი დ (მდედრ.)** - „ძალიან ხშირად, მეტი რომ არ შეიძლება.. მოსიარულე ეგო ვარ.. სულ ვითხოვ სიყვარულს და ზრუნვას.. მეც ვცდილობ პირიქითაც ესე ვიყო, მაგრამ მეტად ვითხოვ მისგან“.

- **რესპოდენტი ლ (მამრ.)** - „ეგოიზმს ყოველდღიურად ვაწყდები, ან უფრო სწორედ, მუდამ ვგრძნობ მას გულის სიღრმეში იშვიათი გამონაკლისების გარდა. ეგოიზმი გამოიხატება იმაში, რომ ღვთის მადლს დაცილებულ მდგომარეობაში არ შემწევს უნარი საკუთარ ბუნებას, ბიოლოგიას ვაჯობო და ქრისტესმიერი სიმდაბლით, სიყვარულით ვიმოქმედო“.

- **რესპოდენტი ფ (მდედრ.)** - „ყოველთვის ვაწყდები. ყველაზე დიდი პრობლემა ეგოიზმია ოჯახში. ის გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ

ცოლი გთხოვს რაღაცის ამოტანას, მაშინ როცა შენ სულ ახლახანს ამოხვედი იქიდან და გეზარება უკან დაბრუნება. შეიძლება ასრულებ თხოვნას, მაგრამ გულში ეგოიზმი მაინც ბობოქრობს“.

- **რესპოდენტი ბ (მდედრ.)** - „ხშირად ვაწყდები. გამოიხატება სხვადასხვა საკითხის ისე გადაწყვეტაში, როგორც მე მინდა და არა მას“.

- **რესპოდენტი დ (მამრ.)** - „დიახ, აღმოვაჩინე რომ ძალინ ხშირად მეცოდება საკუთარი თავი და იმის მაგივრად, მე მოვერგო მის ხასიათს, მირჩევნია ჩემს ხასიათს მოერგოს (სამწუხაროდ)“.

ასკეტიკის საკითხთან დაკავშირებით, რესპოდენტებს მარტივი ფორმით მივაწოდეთ კითხვა: **„როგორ უნდა გამოიმუშავოს სულიერი სათნოებები საკუთარ თავში ადამიანმა, რომელსაც ოჯახი ჰყავს?“.** რესპოდენტთა ძირითად ნაწილმა დაასახელა ლოცვა, ევქარისტიაში მონაწილეობის მიღება და სათნოებებისთვის პირადი ღვაწლის გაღება.

- **რესპოდენტი ბ (მდედრ.)** - „ეცადოს უყვარდეს მთელი არსებით ქრისტე და მისი მეორე ნახევარი.. მუდამ ეძებდეს გზებს მათთან საურთიერთობოდ და დასამეგობრებლად.. და ყველა სათნოება თავისით მოვა..“.

- **რესპოდენტი გ (მამრ.)** - „საფუძველი უნდა ქონდეს და იღვაწოს ყოველდღიურად“.

- **რესპოდენტი თ (მამრ.)** - „ყურადღება ჰქონდეს მეუღლისადმი მსახურებაში. მისი დაცემული ბუნების გამოვლინება დაითმინოს სიყვარულით. და ის გარემოებები, რაც ოჯახებს განსაცდელებად აქვთ, თუნდაც პიროვნებების სახით, დაითმინონ სიმდაბლით“.

- **რესპოდენტი ე (მდედრ.)** - „გამოყოს დრო უფლისთვის, ლოცვისთვის, წმინდა წერილისთვის... რთული კია“.

- **რესპოდენტი ლ (მდედრ.)** - „ყოველი ის საიდუმლო, რომელშიც მონაწილეობისთვისაც ქრისტეს ეკლესია გვიხმობს, ყველა ის მადლმოსილი საშუალება, რომელსაც მისი ორიათასწლოვანი სკოლა გვასწავლის, ნაყოფებს, საბოლოოდ, როგორც პროვნულ, ისე ოჯახურ დონეზე გამოიღებს. თავის მხრივ, ოჯახური სივრცეც უქმნის ადამიანს იმის ხელსაყრელ პირობებს, რომ მან შეძლოს სათნოებების მოხვეჭა“.

- **რესპოდენტი ა (მდედრ.)** - „სულიერი სათნოება უფლისგან მომდინარეობს, ჭეშმარიტ მსახურებაში *იგულისხმა ევქარისტია) მონაწილეობის მიღებით“.

- **რესპოდენტი ზ (მამრ.)** - „ოჯახი უკვე სათნოებაა. ოჯახი მცირე ეკლესიაა. ამ ეკლესიას მოვლა და გაფრთხილება ჭირდება. სულიერი სათნოებები საკუთარი თავის უარყოფით და თავგანწირვით უნდა გამოიმუშაოს“.

- **რესპოდენტი ლ (მამრ.)** - „უნდა ემსახუროს ოჯახის წევრებს და ილოცოს. ეს მგონია ერის ადამიანის განღმრთობის გზა...“.

- **რესპოდენტი ე (მდედრ.)** - „მამა პაისის სიტყვებს გავიხსენებ, რომელიც ვფიქრობ ზუსტად ამ კითხვაზე პასუხია: “საკუთარი მე უნდა დამარხო, რათა გაიხრწნას იგი და იქცეს სასუქად, რომელზეც სიმდაბლე და სიყვარული აღმოცენდება”.

- **რესპოდენტი რ (მამრ.)** - „მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით არის შესაძლებელი (აღსარება, ზიარება, ლოცვა, მორჩილება...)“.

- **რესპოდენტი ს (მამრ.)** - „შეცდომებზე უნდა იმუშაოს. ჩემი აზრით, ეს საუკეთესო საშუალებაა. ამისათვის აუცილებელია, რომ ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვარდეს და ერთმანეთს გამოსწორების საშუალებას აძლევდეს. სულიერ სათნოებაში, პირველ რიგში, სიყვარულს

ვიგულისხმებდი, ხოლო სიყვარულში სავარჯიშოდ ოჯახი საუკეთესო "საშუალებაა".

კვლევისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რესპოდენტთა აზრი ქრისტიანული და ბუნებითი სიყვარულის შესახებ. მათი გამოცდილება ამ შემთხვევაშიც იკვეთება პრაქტიკულ მხარესთან. მათთვის ბუნებითი სიყვარული დასაზღვრული და მიზეზობრივია, ხოლო სულიერი სიყვარული უმოტივო და უსაზღვრო.

- **რესპოდენტი ბ (მდედრ.)** - „ბუნებითი სიყვარული სასრულია, შეზღუდული შესაძლებლობებში.. ქრისტიანული უსაზღვრო და უკიდეგანო, რადგან მისი წყარო ქრისტეა.. ისინი შეგრძნებითადაც კი ძალიან განსხვავდება..“.

- **რესპოდენტი ნ (მდედრ.)** - „განვასხვავებ, რადგან ქრისტიანული სიყვარული სულების ერთობას გულისხმობს, რაც მარადიულობას მოიცავს ბუნებითი სიყვარულისგან განსხვავებით“.

- **რესპოდენტი ო (მამრ.)** - „ქრისტიანული სიყვარულის უმაღლესი გამოხატულება მაცხოვრის ჯვარზე აღსრულებული გამოხსნის საიდუმლოა, რომლის მსგავსი სიყვარულისკენ სწრაფვაც ახალი მცნების მოცემისას მოგვიწოდა (,,ახალსა მცნებას მოგცემთ .... თუ არ ვცდები იოანეს სახარებიდან). ამგვარი სიყვარული მხოლოდ პიროვნული აქტია, რომელიც საკუთარ ბუნებაზე მაღლა დგას და წირავს მას ღვთის სათნოყოფისათვის. ბუნებითი საიყვარული კი, თუ ის საკუთარ მიდრეკილებებზე არ ამაღლდა ინდივიდუალურობისა და ეგოისტურობის ჩარჩოებს ვერ გასცდება“.

- **რესპოდენტი რ (მამრ.)** - „ქრისტიანული სიყვარულით შეიძლება გიყვარდეს მტერი ან მოძალადე, როგორც უფლის ხატად შექმნილი ადამიანი და გებრალებოდეს, რადგან ეშმაკს ყავს შეპყრობილი.

ბუნებითი სიყვარული კი უფრო ადამიანურია, როგორც გვიყვარს ახლობლები, მეგობრები, ოჯახის წევრები“.

- **რესპოდენტი მ (მდედრ.)** - „ქრისტიანული სიყვარული ჯვარია, ტანჯვაზე გადის. ბუნებითი სიყვარული კი ემოციებზე, არის დღემოკლე და ეგოისტურია“.

- **რესპოდენტი ტ (მამრ.)** - „ქრისტიანული სიყვარული არის პოტენციურად მარადიული, ამ დროს პიროვნების სული გიყვარს და არა მისი ამჟამინდელი მდგომარეობა, ხასიათი ან ფიზიკური მახასიათებლები. ბუნებითი სიყვარული ალბათ არის სიყვარული პიროვნული მახასიათებლების გამო“.

- **რესპოდენტი კ (მდედრ.)** - „ბუნებითი სიყვარულის შემთხვევაში, ალბათ, ის გიყვარს, ვინც შენი ახლობელია, ან კარგად გექცევა. ქრისტიანული სიყვარულის შემთხვევაში, შენი მტერიც კი უნდა გიყვარდეს. ამას ვამბობ იმ შემთხვევაზე, როდესაც ადამიანს მართლა აქვს ქრისტიანული სიყვარული და გულწრფელად უყვარს მტერი თუ მოყვასი. ამას იმიტომ ვაზუსტებ, რადგან შესაძლოა ქრისტიანი იყო და ცდილობდე შესაბამისად იცხოვრო, მაგრამ ქრისტიანული სიყვარული არ შეგეძლოს და ნაძალადევად ცდილობდე სხვა ადამიანის შეყვარებას. ამ შემთხვევაში, შენც ბუნებითი სიყვარულით ცხოვრობ“.

იმისათვის, რომ დადგენილიყო, აისახება თუ არა ქრისტესა და ეკლესიის ურთიერთობა რესპოდენტთა ოჯახურ ურთოერთობაში, ვთხოვეთ მოკლედ განემარტათ ოჯახის ძირითადი მსგავსება ეკლესიასთან. უმრავლესობა მთავარ მსგავსებად ასახელებს ქრისტესთან ერთობასა და ცხონებას.

- **რესპოდენტი თ (მამრ.)** - „ორივე ცოცხალი ორგანიზმია, ამოუცნობი და გადმოსაცემად რთული ფენომენია“.

- **რესპოდენტი ლ (მამრ.)** - „ეკლესიას ქმნიან ღვთის მაძიებელი ადამიანები, რომელებიც ევქარისტიულ ერთობაში არიან ქრისტესთან. მაზიარებელი ოჯახიც იგივეა ამ თვალსაზრისით“.

- **რესპოდენტი ი (მდედრ.)** - “სადაც ორი და სამი შეიკრიბება ჩემი სახელით..” ესაა მთავარი მსგავსება. ცოლი და ქმარი ქრისტესთვის, სულის ცხოვნებისთვის იკრიბებიან ერთად და ქმნიან ოჯახს, რომ ცხოვრების ამ სახით მოიპოვონ უფალში სიცოცხლე“.

- **რესპოდენტი ქ (მდედრ.)** - „ის რომ ოჯახში, ისევე როგორც ეკლესიაში, ორი ადამიანი ერთიანდება ქრისტესთვის“.

- **რესპოდენტი ნ (მდედრ.)** - „გარდა ზემოთ მოყვანილი სახარებისეული მონაკვეთების ციტატებისა, ეკლესიის დანიშნულება ხომ ადამიანთა ხსნა და ცხონებაა. და ოჯახის მსგავსებაც ამ შემთხვევავში ერთმანეთის ცხონებაზე (და თუ შვილებიცაა, მათზეც..) ზრუნვაა“.

დასასრულს, რესპოდენტებს ვთხოვეთ განემარტათ სახარების სიტყვები: „სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს“ (ლკ. 17:21).

- **რესპოდენტი ა (მდედრ.)** - „ქრსისტე მუდამ ვლინდება ჩვენს შორის ურთიერთობებში.. და რამდენადაც ვცდილობთ მისი და ერთმანეთის სიყვარულს, იმდენად მკვიდრობს ის ჩვენ შორის..“.

- **რესპოდენტი ე (მდედრ.)** - „სასუფეველი არის ურთიერთობა“.

- **რესპოდენტი თ (მდედრ.)** - „სასუფეველი ჩვენს შორის, ჩვენს გულში უნდა ვეძებოთ პირადი ღვაწლით და ერთმანეთის მიმართ სიყვარულის გამოვლენით“.

- **რესპოდენტი ო (მდედრ.)** - „ანუ სასუფეველი ღმერთი ეს ჩვენშია, ჩვენს გულებში და არა სადღაც ჩვენგან შორს, ერთმანერთთან ურთიერთობით სიყვარულით განიცდება და მოიპოვება სასუფეველი, ღმერთი“.

- **რესპოდენტი კ (მამრ.) -** „ქრისტესმიერი ურთიერთობა ევქარისტიით“.
- **რესპოდენტი დ (მდედრ.) -** „ღმერთის სასუფეველი სადღაც შორს არ უნდა ვეძებოთ. ის ჩვენს გვერდითაა და ადამიანის სურვილსა და მის სწორ არჩევანზეა დამოკიდებული დაიმკვიდრებს თუ არა მას“.
- **რესპოდენტი ო (მამრ.) -** „ადამიანი, თავისი შინაგანი მდგომარეობისდა მიხედვით, შესაძლოა ამ ცხოვრებაშივე ჯოჯოხეთურად იტანჯებოდეს ან სამოთხისეულ ნეტარებას განიცდიდეს. თუ ადამიანი შეეცდება იცხოვროს სიყვარულით, სიმშვიდით, მაშინ ღმერთი დამკვიდრდება მის გულში და მას ექნება სამოთხისეული განცდა“.

ამ შემთხვევაშიც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი რესპონდენტებისთვის, ღმერთთან და მოყვასთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია და მათთვის პირველი მეორის გასაღებია.

თავი IV. ეფესელთა მიმართ ეპისტოლის ანალიზისა და თვისებრივი კვლევის ურთიერთკავშირი

ქრისტოს იანარისი წერს: „მართლმადიდებელ ეკლესიასა და გარდამოცემაში ღვთისმეტყველება სულ სხვა მნიშვნელობას ატარებს იმასთან შედარებით, რასაც დღეს მოიაზრებენ მისით. ეს საღვთო ნიჭი ქრისტიანული სულიერი ცხოვრების, შინაგანი სიწმინდის ნაყოფია. ღვთისმეტყველება ღვთის ჭვრეტასთან, პიროვნული ღმერთის უშუალო ხილვასთან, ქმნილების შეუქმნელი მადლით ფერისცვალების პირად გამოცდილებასთან იგივდება“. ამგვარად, - აგრძელებს ის, - ღვთისმეტყველება არის არა „სამყაროს თეორია ან მეტაფიზიკური სისტემა“ არამედ „გამოთქმა და ფორმულირება საეკლესიო გამოცდილებისა... არა ინტელექტუალური დისციპლინა, არამედ გამოცდილებისმიერი მონაწილეობა, ურთიერთობა[156]“.

წმინდა მამებისთვის ღვთისმეტყველებაში თეორია იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის გამოცდილებითად შეიმეცნება. მათთვის არ არსებობს ჭეშმარიტი ღვთისმეტყველება ღვთისმსახურებისა და მასში მონაწილე საზოგადოების გარეშე.[157] ამრიგად, არ არსებობს ქრისტიანული მისტიკა გამოცდილების გარეშე და არ არსებობს ღვთისმეტყველება მისტიკის გარეშე.[158]

მადლი, პირადი გამოცდილება, საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა, ცოლქმრული ურთიერთობა, შინაგანი სიწმინდე, ფერისცვალება, ღვთის ჭვრეტა - ის საკითხებია, რომელსაც განიხილავს პავლე მოციქული ქრისტიანული ოჯახის საზღვრებში. ეფესელთა მიმართ

---

[156] ეპისკოპოსი კალისტე (უეარი), რა არის ღვთისმეტყველება, ე. მიქელაძის თარგმანი, <https://bit.ly/34TwQtZ> [7.9.2020]
[157] იქვე.
[158] იქვე.

ეპისტოლის განმარტება ჩვენი საუკუნისთვის ისეთივე აქტუალურია[159], როგორც იმდროინდელი ეპოქისთვის, რადგან დღევანდელი ეპოქაც განსაკუთრებით გამოირჩევა ინდივიდუალისტური მიდგომებით და დესტრუქციული ტენდენციებით[160], რომელიც უპირველესად აისახება პირველად სოციალურ ჯგუფში, ანუ ოჯახში. პავლეს სწავლების მიხედვით ღმერთი კაცობრიობას ათავსებს ერთიან ჯგუფში, აღორძინებულ საზოგადოებაში, რომელსაც ეკლესია ჰქვია და რომელიც ოჯახში რეალიზდება[161]. პავლე მოციქულს სურს წარმოაჩინოს, რომ ადამიანთა ერთობა როგორც ღვთის ძღვენი, სამყაროსთვის შესაძლებელია და ისინი ერთიანდებიან მაშინ, როდესაც ერთდებიან ქრისტეში, რაც, მისი თქმით, პრაქტიკული ცხოვრების ნაყოფია[162].

თვისებრივ კვლევაში გამოიკითხა დაოჯახებულ ადამიანთა ის კატეგორია, რომელნიც ეკლესიის წევრნი არიან და ამ აზრით წარმოადგენენ ქრისტიანული ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს. კვლევის მიზეზი უპირველესად პავლე მოციქულის ტექსტის პრაქიკული მხრიდან დანახვაა. თანამედროვე წმინდა ბერი, პაისი ათონელი განმარტავს, რომ ჩვენს დროში წიგნები და სიტყვები მომრავლდა, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება შემცირდა[163]. თეორია მხოლოდ აღფრთოვანებას გამოხატავს და უცნობია მისი შემხებლობა პრაქტიკასთან[164]. ამის გასარკვევად, საჭიროა პრაქტიკული მხარის გამოკვლევა, რომელიც ჩვენი ეპოქის თავისებურებებს ითვალისწინებს და მასთან შესაბამისობაში ყალიბდება. ამ ტიპის მეცნიერული რეფლექსიები არა

---

[159] იქვე.
[160] კარავიდოპოლუსი ი., პავლე მოციქულის ეპისტოლეები, თ. მთვარელიძის თარგმანი, დეკ. მიქაელის (გალდავა) რეადაქტორობით, თბილისი, 2017,48.
[161] იქვე.
[162] იქვე.
[163] მამა პაისი მთაწმინდელი, სიტყვები, წიგნი I, ტკივილითა და სიყვარულით თანამედროვე ადამიანის შესახებ, თბილისი, 2004, 21.
[164] იქვე.

მხოლოდ სამეცნიერო ხასიათის თეოლოგიისთვის[165], არამედ პრაქტიკული თეოლოგიისთვისაც[166] წარმოადგენს ინტერესის საგანს. ქორწინება, როგორც საიდუმლოება, ადამიანის განსაკუთრებულ გაგებას გულისხმობს, როგორც არსების, რომელიც არა მხოლოდ ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი ფუნქციების მქონეა, არამედ, როგორც საღვთო ქმნილებისა, რომელმაც საკუთარი ამქვეყნიური ცხოვრება მარადიულ ღირებულებებს უნდა შეუფარდოს[167]. თვისებრივი კვლევა საშულებას იძლევა, თეოლოგია, რომელიც ქრისტიანულ ოჯახს აბსოლუტურ სახარებისეულ ნორმას სთავაზობს, არა აბსტრაქტული უტოპიების, არამედ ჭეშმარიტი ადამიანური გამოცდილების მხრივაც იქნას დანახული, რადგან ის არა მხოლოდ ღმერთის, არამედ ადამიანის შესახებ ჭეშმარიტებაცაა[168].

თანამედროვე ქრისტიანული ოჯახების პრაქტიკასა და პავლე მოციქულის ტექსტს შორის აუცილებელი შინაგანი კავშირის დადგენა იმ გაგებითაც წარმოადგენს ინტერესს, რომ ამ ეპოქის ადამიანებისთვის გასაგები გახდეს ქორწინების შესახებ ახალაღთქმისეული ტექსტები და მართლმადიდებელი ეკლესიის ათასწლოვანი პრაქტიკის მიმართება ქორწინებასთან.

---

[165] პეტროზილო პიერო, ქრისტიანობის ლექსიკონი, მ. სააკაშვილის თარგმანი, მ. ღაღანიძის რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011, 109-110.
[166] იქვე.
[167] პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020]
[168] იქვე.

დასკვნა

კვლევისთვის არჩეულმა ანალიზისა და თვისებრივმა მეთოდებმა გაამართლეს, რადგან მათ საშუალება მოგვცეს პავლე მოციქულის თეოლოგიური ტექსტი პრაქტიკული პერსპექტივიდან დაგვენახა. ჩავატარეთ სიღმისეული ინტერვიუ, შემდეგ კი გამოვიყენეთ „კონტენტ ანალიზი“, რაც უფრო მეტად დაგვეხმარა ტექსტის დეტალური სიღრმეების გახსნაში.

ტექსტიდან გამოვყავით ქრისტიანული ოჯახისთვის საჭირო ძირითადი სათნოებები: მორჩილება, თავგანწირვა, განწმენდა, ობიექტური სიყვარული, ერთსულ და ერთხორც ყოფნა, კრძალვა, რაზეც ავაგეთ მთლიანი კითხვარი. მოცემულ მეთოდთა გამოყენებამ საკმაოდ კარგ შედეგებამდე მიგვიყვანა, რადგან ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე ნათელია, რომ პავლე მოციქულის სწავლება შეესაბამება რესპოდენტთა გაგებასა და ოჯახურ პრაქტიკას. ეს ნიშნავს, რომ ჰიპოთეზა გამართლდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს - იქიდან გამომდინარე, რომ ეფესელთა მიმართ ეპისტოლის ტექსტისთვის, ანალიზისა და თვისებრივი კვლევის მეთოდთა გამოყენება ექსპერიმენტული ხასიათის იყო, მან მხოლოდ მცირე სეგმენტი მოიცვა (4 სამრევლო) და მიღებული შედეგი ვერ განზოგადდება მთელ ქართულ საზოგადოებზე. ასეთ შემთხვევაში, კვლევამ შესაძლოა განსხვავებულ შედეგამდე მიგვიყვანოს, თუმცა, მიზანი - გამოგვეკვლია და დაგვედგინა შესაბამისობა პავლე მოციქულის თეორიულ საფუძვლებსა და თანამედროვე ქართული საზოგადოების გაგებას შორის, მიღწეულია. კვლევაში მონაწილე ადამიანთათვის (18/28) ქრისტეს სიყვარული ეკლესიის მიმართ რეალურია და ჩართულნი არიან მის (ცოლქმრულ ურთიერთობაში) რეალიზებაში. ასევე, რესპოდენტთა პასუხების მიხედვით, კვლევამ გამოავლიანა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ყოველკვირეულად და უფრო ხშირად მონაწილეობენ

ევქარისტიულ მსახურებაში, მეტად სიღმისეულად განიცდიან და იმეცნებენ ქორწინების საიდუმლოს სიღრმეებს.

კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვენახა:

1. ქრისტიანული პრაქტიკის ცოცხალი ნაყოფები, რომლებიც ღმერთთან პიროვნული ურთიერთობის შედეგად, ცოლქმრობაში ვლინდება ეგოიზმის დათრგუნვითა და უანგარო სიყვარულით. ეს უკანასკნელი კი ძალზედ მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროსთვის.

2. საშუალება მოგვეცა თავი დაგვეღწია სტერეოტიპებისგან, რომელიც არსებობს ცოლ-ქმარს შორის შიშის, მორჩილებისა და სხვა სარწმუნოებრივი სათნოებების შესახებ.

3. შევინარჩუნეთ წარმოდგენა ამ ურთიერთობის უბიწოების, საიდუმლოებრივობისა და საკრამენტულობის შესახებ, რომ ქორწინების საიდუმლოს ჭეშმარიტი არსი ოჯახური ცხოვრებისათვის მხოლოდ „რელიგიური სანქციის“ მიცემა და ზებუნებრივი მადლით ოჯახური ფასეულობების განმტკიცება კი არ არის, არამედ ის, რომ ქორწინების საიდუმლოს ბუნებრივი მეუღლეობა შეჰყავს „ქრისტესა და ეკლესიის დიდ საიდუმლოში“ და მას ახალი აზრით ავსებს იმ გაგებით, რომ ადამიანურ სიყვარულს გარდაქმნის საღვთო სიყვარულად.

ვფიქრობ, ანალიზისა და თვისებრივ მეთოდთა სინთეზირება საკმაოდ პროდუქტიულია და უზრუნველყოფს ტექსტის ღრმა, დეტალურ ანალიზს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არქიმანდრიტი თადეოზ (ვიტოვნიცელი), მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა, თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერი, 2020
2. ბიბლია, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბილისი, 2001
3. ბარნოვი გ, "სათნოების ცნება წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სწავლებაში". ჟურნ. "გული გონიერი", №17, 2017
4. დიუმულენი პიერ, წმ. პავლეს მოძღვრება და ცხოვრება, ა. მარგველაშვილისა და მ. სულაძის თარგმანი, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., თბილისი, 2010
5. ეკალაძე ზ., გნოსტიციზმი, წიგნიდან: „აპოლოგეტიკური წერილები“, <https://bit.ly/2GSb0yP> [9.9.2020]
6. ეპისკოპოსი კალისტე (უეარი), რა არის ღვთისმეტყველება, ე. მიქელაძის თარგმანი, <https://bit.ly/34TwQtZ> [7.9.2020]
7. კლემანი ო., პიროვნებები თანაზიარებაში, ზ. ჯაშის თარგმანი, <https://bit.ly/3drv86T> [3.9.2020]
8. კარავიდოპოლუსი ი., პავლე მოციქულის ეპისტოლეები, თ. მთვარელიძის თარგმანი, დეკ. მიქაელის (გალდავა) რეადაქტორობით, თბილისი, 2017
9. ლოსკი ვ., დოგმატური ღვთისმეტყველება, ზ. ეკალაძის თარგმანი, თბილისი, 2007 <https://bit.ly/33J38bw> [6.9.2020]
10. ლიმასოლის მიტროპოლიტი ათანასე, ოჯახი - ეკლესია შინ, <https://www.pemptousia.ge/2018/05/24/51607/>[1.9.2020].
11. მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე, თ. გოგილაშვილის თარგმანი, <https://bit.ly/2GJS4SO> [6.9.2020]
12. მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), თვითშემეცნების შესახებ, დ. ფაჩულიას თარგმანი, <https://bit.ly/36OSemw> [6.9.2020]
13. მიტროპოლიტი ანტონი (სუროჟელი), ქორწინებისა და აღზრდის შესახებ, წიგნში: საფეხურები, თბილისი, 2000, <https://bit.ly/3iIg6dR> [8.9.2020]
14. მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი), წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, ე. ეკალაძისა და ვ. ჩხიკვაძის თარგმანი, თბილისი, 2010
15. მამა პაისი მთაწმინდელი, სიტყვები, წიგნი IV, ოჯახური ცხოვრება, თბილისი, 2011
16. მამა პაისი მთაწმინდელი, სიტყვები, წიგნი I, ტკივილითა და სიყვარულით თანამედროვე ადამიანის შესახებ, თბილისი, 2004
17. პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (შმენანი), ცოცხალი რწმენის შესახებ, მე-2 გამოცემა, ო. ზოიძისა და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014
18. პროტოპრესვიტერი იოანე (მეიენდორფი), ქორწინება და ევქარისტია, ლ. აბაშიძის თარგმანი, ჟურნალი "დიალოგი", №1-2 (6-7), 2007, <https://bit.ly/3iGbDIF> [6.9.2020]
19. პეტროზილო პიერო, ქრისტიანობის ლექსიკონი, მ. სააკაშვილის თარგმანი, მ. ღაღანიძის რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011
20. წმიდა კლიმენტი რომაელი, პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თ-ბი. 1, 21, 50., <https://bit.ly/3iP58n0> [7.9.2020]

21. წმინდა მაქსიმე აღმსარებლის აზრების აქტუალობა, წიგნში: წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციის მასალები, მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილის) რედაქტორობით, აღმსარებელი, 2015
22. წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი), ღმრთისადმი სიყვარულის შესახებ, წიგნში: რა არის მართლმადიდებლობა, თბილისი, 2001, <https://bit.ly/34EOzVU> [6.9.2020]
23. წმ. იოანე ოქროპირი, სწავლანი, ნ. ბელთაძის თარგმანი, წიგნში: ბჭე სიწმინდისა, თბილისი, 2008
24. წმინდა იოანე სინელი, კლემაქსი ანუ კიბე, მე-2 გამოცემა, ტ. ცომაიას თარგმანი, ნ. ხურცილავას რედაქტორობით, თბილისი, 2014
25. წმინდა დიონისე არეოპაგელი, საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის, ქ. ბრეგვაძის თარგმანი, < https://bit.ly/3lHxkdc> [7.9.2020]
26. ჭელიძე ე., ირინეოს ლიონელის სწავლება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ, <https://bit.ly/34D8Aw5> [6.9.2020]
27. Clement of Alexandria, Stromata, Book III, Chapter I, https://bit.ly/3nBMZNh [5.9.2020]
28. Encyclopedia of Love In World Religions, EDITOR Yudit Kornberg Greenbergm, 2008
29. St. Augustine, The City of God (Book XIV, 28) <https://www.newadvent.org/fathers/120114.htm> [8.9.2020]
30. St. Augustine, Of the Good of Marriage, Translated by C.L. Cornish, <http://www.newadvent.org/fathers/1309.htm> [4.9.2020]
31. The Epistle of Ignatius to Polycarp, Chapter 5, <https://www.newadvent.org/fathers/0110.htm> [5.9.2020]
32. Архиепископ Феофилакт Болгарский, Толкование на послание к Ефесянам святого апостола Павла, https://bit.ly/2SE3fz1 [5.9.2020]
33. БАРКЛИ У., ПОСЛАНИЕ К ЕФЕСЯНАМ, <http://yakov.works/library/02_b/ar/clay_efes.htm> [6.9.2020]
34. Григорий Богослов, свт. Похвала девству, 224-304 // Творения. СПб., 1912
35. Иванов А., О понятии любви в христианстве, <https://p.dw.com/p/6Snc> [12.08.2020]
36. Преподобный Максим Исповедник. Главы о любви. - М. : Сибирская благозвонница, 2013
37. Преподобный Максим Исповедник, Мистагогия, Изд.: Рипол классик, 2018. Десять глав о добродетели и пороке
38. Православная энциклопедия, Аскетизм, <https://azbyka.ru/asketizm-askeza-> [6.9.2020]
39. Рюмина М.Т., Христианская этика, <https://bit.ly/3djEIZz> [9.9.2020]
40. Святитель Григорий Палама, Беседы (омилии), Омилия I, Перевел с греч. архим. Амвросий (Погодин). – М.: Паломник, 1993, <https://azbyka.ru/otechnik/Grigorij_Palama/homilia/1#sel= > [8.9.2020]
41. Христос Яннарас, Вера Церкви. Введение в православное богословие, Человек, https://bit.ly/3iNiwrP [5.9.2020]